საქართველოს ეროვნული ბანკი

ინფლაციის მიმოხილვა

2006 წ. IV კვარტალი

შინაარსი

შესავალი 1

2006 წლის IV კვარტალში წინა პერიოდში დაფიქსირებული ინფლაციის მაღალი ტემპი შედარებით შემცირდა. დეკემბერში ინფლაციის წლიურმა მაჩვენებელმა 8.8 პროცენტი შეადგინა. ამასთან, თვიური ინფლაცია კვარტალის სამივე თვეში ერთ პროცენტზე ნაკლები იყო, თუმცა საბაზო ინფლაციის სხვადასხვა მაჩვენებლები ერთმანეთს დაუახლოვდა და წინა პერიოდის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით გაიზარდა, რაც ფასების ზრდაზე მოთხოვნის ფაქტორების გავლენას აღასტურებს.

საანგარიშო პერიოდში კვლავ გაგრძელდა ეკონომიკიდან მოზიდული დეპოზიტებისა (58.0 პროცენტი, III კვარტალში – 44.6 პროცენტი) და ეკონომიკაზე გაცემული სესხების (57.3 პროცენტი, III კვარტალში – 80.4 პროცენტი) წლიური ზრდა. მოიმატა სარეზერვო ფულის წლიური ზრდის ტემპმა, რომელმაც IV კვარტალის შედეგებით 19.2 პროცენტი (III კვარტალში – 17.5 პროცენტი) შეადგინა, ფართო ფულის M2 და M3 აგრეგატების წლიურმა ზრდამ კი – შესაბამისად, 29.8 და 39.3 პროცენტი.

2006 წლის IV კვარტალში ისევე, როგორც მთელი წლის მანძილზე, დაფიქსირდა ლარის აშშ დოლარის მიმართ გაცვლის კურსის გამყარების ტენდენცია. მთლიანობაში, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ 1.27 პროცენტით გამყარდა.

რაც შეეხება ლარის რეალურ ეფექტურ გაცვლის კურსს, საანგარიშო პერიოდში უმნიშვნელოდ, 0.31 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლის კურსი კვარტალის განმავლობაში 1.1 პროცენტით გაუფასურდა.

რუსეთის ემბარგოს გავლენით საგადასახდელო ბალანსის დარღვეული წონასწორობა IV კვარტალში გარკვეულწილად აღდგა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 2005 წლის IV კვარტალის 118 პროცენტი შეადგინა.

ისევე, როგორც წინა პერიოდებში, 2006 წლის IV კვარტალშიც საგადასახადო შემოსავლების მაღალი ზრდის ტემპი დაფიქსირდა. ამ პარამეტრმა, 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 43.4 პროცენტით მოიმატა. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტში არასაგადასახადო შემოსავლებისა და გრანტების წილი, თუმცა კაპიტალური შემოსავლების წილი შემცირდა.

2006 წლის IV კვარტალში, 2005 წლის საშუალო კვარტალურთან შედარებით, რეალური მშპ-ის წლიური ზრდის ტემპმა 11.5 პროცენტი შეადგინა. ეს მაჩვენებელი კვარტალების მიხედვით, შესაბამისად, 8.4-ს, 8.0-სა და 9.1 პროცენტს უტოლდება. ეკონომიკის ზრდის დარგობრივი განხილვა ცხადყოფს, რომ III კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების ზრდის დადებითი მაჩვენებელი დაფიქსირდა ფაქტობრივად ყველა სექტორში, გარდა სოფლის მეურნეობისა, რომელშიც წლიური ზრდის ტემპის კლებამ, სამი კვარტალის ჯამური მონაცემის მიხედვით, 14.1 პროცენტი შეადგინა.

2007 წლის პირველი ნახევრის ბოლოსათვის სამომხმარებლო ფასების ინდექსის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი, საორიენტაციოდ, 6.46-7.19 პროცენტის ფარგლებში იქნება.

სამომხმარებლო ფასების ცვლილება 2

ბრაფიკი 2.1
ფასების ზრდის დინამიკა
(დეკემბერი, 2005=100%)



ბრაფიკი 2.2
სდფ ინფლაციის დინამიკა
(2005 წლის დეკემბერი=1)



საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, 2005 წლის დეკემბრიდან 2006 წლის დეკემბრამდე სამომხმარებლო ფასების საერთო დონე 8.8 პროცენტით გაიზარდა. ფასების აწევაში ძირითადი წვლილი შეიტანა ეგზოგენურმა (გარეშე) ფაქტორებმა, რომლებიც ფასების დონეზე მუდმივ, ხოლო ინფლაციაზე დროებით გავლენას ახდენს.

ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ფასების ცვლილება ზემოქმედებდა საქართველოში ფასების დონეზე. წლის განმავლობაში ინფლაციამ რუსეთსა და თურქეთში, შესაბამისად, 9.1 და 9.7 პროცენტი შეადგინა. განსაკუთრებით ძლიერი იყო საქართველოსა და თურქეთში ფასების დინამიკის კორელაცია. ასეთი კავშირი აიხსნება არა მარტო მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობებით, არამედ ორი ქვეყნის ეკონომიკაზე მოქმედი ეგზოგენური ფაქტორების იდენტურობით.

მთელი 2006 წლის მანძილზე საქართველოში ფასების დონეზე მრავალი არახელსაყრელი გარე ფაქტორი ზემოქმედებდა: ნავთობისა და შაქრის მსოფლიო ფასები, ფრინველის გრიპი, რუსეთის მხრიდან გაძვირებული გაზის (და შესაბამისად ელექტროენერგიის) ფასი, მეტეოროლოგიური პირობები. ამ მხრივ, გამონაკლისს არც უკანასკნელი კვარტალი წარმოადგენდა. სწორედ ამ პერიოდში უნდა გამოკვეთილიყო რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოს შედეგები. ოქტომბერში უკვე შესამჩნევი გახდა ფასების მატება რუსეთიდან იმპორტირებულ პროდუქტებზე. მაგალითად, წიწიბურას ფასმა 50 პროცენტით მოიმატა. როგორც მოსალოდნელი იყო, ფასების ასეთ დონეზე აწევას დროებითი ხასიათი ჰქონდა და წლის ბოლოსათვის აღნიშნული პროდუქტების ფასები მეტ-ნაკლებად დაუბრუნდა წინანდელს.

ფასების ზრდის თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანი იყო სავალუტო ბირჟაზე 2006 წლის ბოლოს დაფიქსირებული უცხოური ვალუტის დიდი ოდენობით მიწოდება, თუმცა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული მონეტარული პოლიტიკითა და აქტიური ფულად-საკრედიტო ოპერაციებით ნეგატიური ზემოქმედების თავიდან აცილება მოხერხდა.

კვარტალის განმავლობაში ნეგატიურის გარდა პოზიტიური ფაქტორიც მოქმედებდა. კერძოდ, ნავთობის საერთაშორისო ფასების შემცირებამ საქართველოში საწვავის ფასი დასწია და 2006 წლის დეკემბერში,

ცხრილი 2.1

ინფლაციის ზრდაზე ყველაზე დიდი ზეგავლენის მქონე პროდუქტები და გაძვირების გამომწვევი მიზეზები (2006 წლის თორმეტი თვის მონაცემები)

	გაძვირება (პროცენტი)	წვლილი წლიურ ინფლაციაში	ძირითადი მიზეზი
რუხი პური	11	0.2	რუსეთის ემბარგო
ხორბლის თეთრი პური, ქარხნის	4.6	0.3	რუსეთის ემბარგო
გაზი ბუნებრივი	34.9	0.3	რუსეთის მიერ გაძვირება
შაქარი	15	0.3	მსოფლიო ფასები
ყველი იმერული	11	0.3	მეტეოროლოგიური პირობები
კვერცხი	22	0.4	ფრინველის გრიპი
ლობიო, ხმელი	55.2	0.5	მეტეოროლოგიური პირობები
ვაშლი	54.3	0.6	მეტეოროლოგიური პირობები
კარტოფილი	68.2	1.3	მეტეოროლოგიური პირობები
ელექტროენერგიის გადასახადი	58.9	1.6	გაძვირებული გაზის შედეგი
სულ		5.6	

2005 წლის დეკემბერთან შედარებით, ბენზინის ფასი მხოლოდ 0.7 პროცენტით იყო მომატებული.

საანალიზო პერიოდში ინფლაციურ პროცესებზე ყველაზე მეტად სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასები მოქმედებდა, რაც ბუნებრივ, სეზონურ ხასიათს ატარებდა. საერთო ჯამში, კვარტალის განმავლობაში ინფლაციამ 2.6 პროცენტი შეადგინა.

ფასების ცვლილება სასაქონლო ჯგუფების მიხედვით

საქონლის მოხმარების ხანგრძლივობის მიხედვით, მათი ფასების ცვლილების განხილვა ცხადყოფს, რომ ყველაზე მეტად ხანმოკლე მოხმარების საქონელი გაძვირდა. ამ საქონლის ფასების ზრდა უკანასკნელი ერთი წლის

ცხრილი 2.2

ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და ზეგავლენა სფი-ზე (პროცენტული პუნქტი)

	წონა 2006 წ. დეკემბერი	წონა 2003 წ. დეკემბერი	იანვარი-2006 - დეკემბერი-2006/ იანვარი-2004 - დეკემბერი-2005		დეკემბერი-2006/ დეკემბერი-2005		დეკემბერი-2006/ ნოემბერი-2006	
			ინფლაცია	ზეგავლენა	ინფლაცია	ზეგავლენა	ინფლაცია	ზეგავლენა
სულ	100.0	100.0	9.2	9.2	8.8	8.8	0.9	0.9
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	45.5	42.6	13.0	5.6	13.4	5.9	1.7	0.8
სურსათი	44.2	41.2	13.3	5.6	13.8	5.9	1.8	0.8
პური და პურპროდუქტები	10.2	11.4	2.0	0.2	7.3	0.8	0.8	0.1
ხორცი და ხორცის პროდუქტები	7.0	6.4	15.5	1.1	10.3	0.7	-1.2	-0.1
თევზეული	1.1	0.9	11.8	0.1	9.2	0.1	4.2	0.0
რძე, ყველი და კვერცხი	6.6	5.6	21.9	1.1	13.4	0.8	2.6	0.2
ზეთი და ცხიმი	3.1	3.5	1.5	0.0	6.3	0.2	2.5	0.1
ხილი, ყურძენი	4.5	2.4	25.0	0.9	35.6	1.3	8.5	0.4
ბოსტნეული, ბაღჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	8.4	7.8	18.9	1.5	21.8	1.6	2.3	0.2
შაქარი, ჯემი, თაფლი, ეაყინები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	3.2	3.1	21.4	0.6	11.2	0.3	-1.2	0.0
კვების სხვა პროდუქტები	0.2	0.2	4.8	0.0	11.2	0.0	4.3	0.0
უალკოჰოლო სასმელები	1.3	1.4	3.8	0.1	1.2	0.0	-1.6	0.0
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	7.5	6.2	5.4	0.5	-10.5	-1.0	-0.8	-0.1
განსაცმელი და ფეხსაცმელი	4.3	5.0	4.5	0.2	2.9	0.1	0.7	0.0
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.5	8.8	19.0	1.6	22.2	1.9	0.7	0.1
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მოწყობილობა, სახლის მოვლა-შეკეთება	2.8	3.2	0.4	0.0	1.5	0.0	0.7	0.0
ჯანმრთელობის დაცვა	6.8	7.3	7.2	0.5	16.0	1.0	-0.1	0.0
ტრანსპორტი	10.6	11.4	5.9	0.7	2.5	0.3	0.1	0.0
კავშირგაბმულობა	3.3	4.3	-5.1	-0.2	-0.1	0.0	0.0	0.0
დასვენება, გართობა და კულტურა	2.5	3.1	0.5	0.0	-0.4	0.0	0.0	0.0
განათლება	2.3	3.0	0.3	0.0	2.2	0.1	0.0	0.0
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	2.9	2.9	6.5	0.2	7.7	0.2	0.2	0.0
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	1.9	2.3	1.8	0.0	4.3	0.1	0.6	0.0
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	69.4	65.5	11.2	7.6	9.9	6.8	1.1	0.7
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	5.3	6.1	2.3	0.1	2.0	0.1	0.5	0.0
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	1.8	2.3	-1.7	0.0	0.0	0.0	-0.4	0.0
მომსახურება	23.5	26.1	5.3	1.3	6.9	1.7	0.3	0.1

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სტატისტიკის დეპარტამენტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის გამოთვლები.

გრაფიკი 2.3

სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილება ენერგომატარებლების ფასების გათვალისწინებით და მის გარეშე[1]

[1] გამოთვლები გაკეთებულია სამომხმარებლო კალათის საწყისი პერიოდის წონების შესაბამისად, გეომეტრიული საშუალის გამოყენებით. ენერგომატარებლებში გათვალისწინებულია ელექტროენერგიის გაზასახალი, თხევადი და ბუნებრივი გაზი, ნავთი, დიზელის საწვავი, ბენზინი.

გრაფიკი 2.4

წლიური სფი და საბაზო ინფლაცია (სამომხმარებლო კალათის 311 კომპონენტის მიხედვით)



* ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში არსებული პროდუქტების (~85%) მიხედვით.
** ორი სტანდარტული გადახრის ფარგლებში არსებული პროდუქტების (~93%) მიხედვით.

გრაფიკი 2.5

წლიური სფი ინფლაცია სამომხმარებლო კალათის ადგილობრივი, იმპორტული და შერეული საბოლოო წარმოების პროდუქტების მიხედვით



განმავლობაში 9.9 პროცენტს შეადგენს, მაშინ, როცა საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელზე ფასების ზრდა 2.0 პროცენტია, ხოლო ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე ფასები არ შეცვლილა.

წლის დასაწყისიდან დღემდე, პრაქტიკულად, მყარია ფასები ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაზე, ტანსაცმელზე, საოჯახო ნივთებსა და მოწყობილობაზე. რუსეთის მიერ ალკოჰოლურ და მინერალურ სასმელებზე დაწესებული ემბარგოს შედეგად ივნისში საგრძნობლად შემცირდა და მას შემდეგ, პრაქტიკულად, იმავე დონეზე რჩება ალკოჰოლური სასმელების ფასი. ივნისშივე მკვეთრად მატულობს სამომხმარებლო ჯგუფის – „საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები“ – ფასები და მათი პროცენტული ზრდა წლის ბოლოსათვის 20-პროცენტიან ზღვარზე მაღალია. 10 პროცენტს აღემატება სურსათზე და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ფასების მატება, რაც ძირითადად მშობიარობის სახელმწიფო სუბსიდირების სისტემის ცვლილებით იყო გამოწვეული და არა ფასების ზრდით (2006 წლის ივლისიდან ქ. თბილისში, ყველა მშობიარის 200 ლარით სუბსიდირების ნაცვლად, მხოლოდ ხელმოკლე მშობიარეების 400 ლარით სუბსიდირება ხდება. აღნიშნული ფაქტორი, სამომხმარებლო ფასების დათვლის სპეციფიკის გამო, აღირიცხა როგორც ფასის 50-პროცენტიანი ზრდა).

ბრაფიკი 2.6

ფასების ზრდა 2005 წლის დეკემბრის მონაცემებთან შედარებით



ბრაფიკი 2.7

წლიური ინფლაციის მაჩვენებლების ცვლილება სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლსა და მომსახურებაზე



ბრაფიკი 2.8

M2 ფულის მასისა (თვის საშუალო მონაცემებით) და სამომხმარებლო ფასების წლიური ზრდის ტემპი



ინფლაციის ფაქტორები 3

3.1 მონეტარული აგრეგატების დინამიკა

2006 წლის IV კვარტალის ბოლოს სარეზერვო ფულის მაჩვენებელმა 1193.2 მლნ ლარი შეადგინა – 191.8 მლნ ლარით (19.2 პროცენტი) მეტი წინა წლის ანალოგიურ მონაცემზე. სარეზერვო ფული დეკემბერში, თვის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით, წინა წლის დეკემბერთან შედარებით, გაიზარდა 303.1 მლნ ლარით, ხოლო წლიურმა ზრდამ 31.4 პროცენტი შეადგინა.

მხედველობაშია მისაღები, რომ სარეზერვო ფულის დონის აწევა ნოემბრის ბოლო დღეებში მოხდა, რაც, თავის მხრივ, უმთავრესად განაპირობა „საქართველოს ბანკის“ მიერ აქციებზე წარმოებული გლობალური სადეპოზიტო ხელწერილების რეალიზაციის შედეგად მიღებული უცხოური ვალუტის თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე მიწოდებამ (დაახლოებით 89 მლნ აშშ დოლარი) და, ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო შესყიდვებმა. ასევე, სარეზერვო ფულის ზრდაში ძირითადი წვლილი (14.5 პროცენტი) შეიტანა კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე არსებულმა თანხებმა, რაც განეიტრალებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის ოპერაციებით.

დეკემბერში სარეზერვო ფულის მატებას ხელს უწყობდა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე უცხოური ვალუტის ჭარბი მიწოდების არსებითი ზრდა, რამაც განსაზღვრა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული მოცულობითი სავალუტო შესყიდვები. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ინტერვენციების წმინდა მოცულობამ 136.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, შედეგად სისტემას, დაახლოებით, 235 მლნ ლარი მიეწოდა. სავალუტო ბაზარზე ასეთ ზეწოლას ლარზე მოთხოვნის მხრივ, სეზონურ ფაქტორებთან ერთად, პრივატიზაციასთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის ნაკადების შემოდინებაც იწვევდა. მათ შორის, აღსანიშნავია „ჭიათურმანგანიუმისა“ და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის გასხვისების შედეგად თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 30 მლნ აშშ დოლარის მიწოდება.

საქართველოს ეროვნულ ბანკში მთავრობის ანგარიშებზე აკუმულირებული ნაშთების ოდენობა დეკემბრის თვის განმავლობაში 320 მლნ ლარიდან 360 მლნ ლარამდე გაიზარდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის დეპოზიტების უცხოურ ვალუტაში არსებული კომპონენტის მოცულობის ცვლილებისა (მატებამ შეადგინა 11 მლნ ლარი) და შიდასამთავრობო კონვერტაციების

შედეგად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წმინდა სავალუტო შესყიდვების (29.8 მლნ აშშ დოლარი, ანუ მიწოდებულ იქნა დაახლოებით 51 მლნ ლარი) გათვალისწინებით, დეკემბერში მთავრობის ოპერაციების გავლენამ სარეზერვო ფულის მოცულობის ზრდაზე, დაახლოებით,
22 მლნ ლარი შეადგინა.

მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის უკანასკნელი სამი თვის საშუალო მაჩვენებელი მხოლოდ 1.7 პროცენტით იყო გაზრდილი და, ამდენად, სარეზერვო ფულის საშუალო დონის ზრდა მეტწილად საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე რესურსების აკუმულირებით მოხდა. საანგარიშო პერიოდის მანძილზე საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთების მოცულობა მაღალ დონეზე იყო შენარჩუნებული – დაახლოებით 194 მლნ ლარის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ამ ანგარიშებზე დეკემბრის განმავლობაში არსებული ლიკვიდური სახსრების

ცხრილი 3.1.1

სარეზერვო ფულის დინამიკა
2006 წ., თვის საშუალო მონაცემები

	12.05	01.06	02.06	03.06	04.06	05.06	06.06	07.06	08.06	09.06	10.06	11.06	12.06
სარეზერვო ფული	965 679	962 173	980 628	1010 662	994 916	1009 900	1055 670	1088 791	1078 869	1084 228	1096 549	1106 677	1268 754
ფული მიმოქცევაში	757 856	749 525	750 025	764 167	776 114	771 004	793 176	819 941	834 220	838 575	838 877	819 134	853 042
ბანკების დეპოზიტები	207 823	212 648	230 602	246 495	218 802	238 896	262 493	268 850	244 649	838 575	838 877	819 134	853 042
საავალდებულო რეზერვები	130 669	130 971	135 858	139 980	142 765	149 461	156 064	161 170	167 925	245 653	257 673	287 543	415 712
საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები	77 154	81 677	94 744	106 515	76 037	89 435	106 429	107 680	76 724	56 030	52 355	78 431	194 305
ერთღლიანი დეპოზიტები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

ცხრილი 3.1.2

სარეზერვო ფულის დინამიკა
2006 წ., თვის ბოლო მონაცემები

	12.05	01.06	02.06	03.06	04.06	05.06	06.06	07.06	08.06	09.06	10.06	11.06	12.06
სარეზერვო ფული	1001 451	981 862	1003 217	978 908	1035131	1013 794	1044 679	1092892	1083 669	1096913	1084061	1264 266	1193231
ფული მიმოქცევაში	811 400	749 215	756 571	775 443	792 910	776 499	803 260	828941	836 942	853577	832840	820 592	929538
ბანკების დეპოზიტები	190 051	232 647	246 646	203 466	242 221	237 295	241 418	263952	246 727	243336	251221	443 674	263693
საავალდებულო რეზერვები	129 833	133 183	137 960	139 334	143 655	151 959	158 689	162958	177 646	202331	206242	209 890	224559
საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები	60 218	99 464	108 686	64 132	98 566	85 335	82 729	100994	69 081	41005	44979	233 784	39135
ერთღლიანი დეპოზიტები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

ცხრილი 3.1.3

ფულადი აბრეშატების ყოველთვიური ცვლილება
2006 წ., თვის საშუალო მონაცემები

	01.06	02.06	03.06	04.06	05.06	06.06	07.06	08.06	09.06	10.06	11.06	12.06
ფართო ფული /M3/	**1 937 372**	**1 967 731**	**2 003 218**	**2 166 389**	**2 157 712**	**2 284 205**	**2 318 376**	**2 369 466**	**2 421 024**	**2 435 932**	**2 493 252**	**2 661 674**
ფულადი მასა /M2/	1 050 325	1 052 238	1 087 516	1 142 254	1 146 637	1 251 806	1 247 437	1 252 135	1 273 391	1 238 108	1 235 943	1 389 182
ბანკებსგარეთ არსებული ნაღდი ფული	682 176	688 986	709 102	714 856	706 063	729 106	744 932	751 449	773 243	752 451	739 969	827 357
ლარი მიმოქცევაში	749 215	756 571	775 443	792 910	776 499	803 260	828 941	836 942	853 577	832 840	820 592	929 538
დეპოზიტები ეროვნული ვალუტით	368 149	363 252	378 414	427 398	440 574	522 700	502 505	500 686	500 148	485 658	495 974	561 824
დეპოზიტები უცხოური ვალუტით	887 047	915 494	915 701	1 024 135	1 011 074	1 032 399	1 070 939	1 117 331	1 147 633	1 197 823	1 257 309	1 272 493

ცხრილი 3.1.4

ფულადი აბრეშატების ყოველთვიური ცვლილება
2006 წ. , თვის ბოლო მონაცემები

	01.06	02.06	03.06	04.06	05.06	06.06	07.06	08.06	09.06	10.06	11.06	12.06
ფართო ფული /M3/	**1 903 627**	**1 921 751**	**1 993 524**	**2 082 984**	**2 113 973**	**2 243 630**	**2 306 400**	**2 343 769**	**2 375 230**	**2 426 109**	**2 453 037**	**2 618 543**
ფულადი მასა /M2/	1 026 072	1 039 195	1 073 505	1 117 572	1 118 633	1 235 061	1 248 464	1 258 831	1 257 269	1 250 897	1 229 698	1 327 034
ბანკებსგარეთ არსებული ნაღდი ფული	683 949	683 061	690 421	710 012	691 760	717 759	737 754	751 951	757 246	747 091	734 387	774 437
ლარი მიმოქცევაში	749 405	751 361	766 587	785 728	765 605	797 349	823 040	836 074	842 073	835 031	818 502	867 628
დეპოზიტები ეროვნული ვალუტით	342 123	356 134	383 085	407 559	426 872	517 302	510 710	506 880	500 023	503 806	495 311	552 597
დეპოზიტები უცხოური ვალუტით	877 555	882 556	920 018	965 413	995 340	1 008 568	1 057 936	1 084 937	1 117 961	1 175 211	1 223 338	1 291 509

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

საშუალო ოდენობა 2.5-ჯერ აღემატება 2005 წლის დეკემბრის ანალოგიურ მონაცემს. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, სისტემაში ასეთი მოცულობის ჭარბი ლიკვიდური სახსრების ნეიტრალიზაციის მიზნით, აქტიურად აამოქმედა მის ხელთ არსებული მონეტარული ინსტრუმენტები, რის შედეგადაც საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთების მოცულობა 31 დეკემბრისათვის 39 მლნ ლარამდე შემცირდა.

კერძოდ, დეკემბერში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაიწყო სახელმწიფო ობლიგაციების მეშვეობით ღია ბაზრის ოპერაციების წარმოება. რეალიზებულ იქნა სხვადასხვა ვადიანობის (ცხრიდან თვრამეტ თვემდე) 48 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ობლიგაცია. ამასთან, სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონების მეშვეობით ამოღებულ იქნა 269 მლნ ლარი, ხოლო ამავე პერიოდში დაიფარა 7.2 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატი. მთლიანობაში, ამ ინსტრუმენტით აბსორბირებულ იქნა 261.8 მლნ ლარის ლიკვიდური სახსრები, ხოლო უკანასკნელ სამ თვეში სადეპოზიტო სერტიფიკატებით ამოღებულ იქნა 287.6 მლნ ლარი და 20.9 მლნ ლარი დაიფარა.

ზემოაღნიშნული ფულადი ნაკადების ფონზე, სარეზერვო ფულის ოდენობა 31 დეკემბერისათვის სექტემბერთან შედარებით გაიზარდა 96.3 მლნ ლარით (8.8 პროცენტი) და 1193.2 მლნ ლარი შეადგინა. სარეზერვო ფულის წლიურმა ზრდამ სექტემბრის ბოლოს არსებული 17.5 პროცენტიდან დეკემბერში 19.2 პროცენტამდე აიწია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად სარეზერვო ფულის დეკემბრის თვის საშუალო დონის მაღალი მაჩვენებლისა, ინფლაციაზე სარეზერვო ფულის მატებამ ზომიერი გავლენა მოახდინა, რადგან სარეზერვო ფულის მაღალი დონე ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე არსებული ნაშთების შედეგი იყო, რაც, თავის მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკის ღია ბაზრის ოპერაციებით განეიტრალდა.

ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ 3.1.1
ᲤᲐᲠᲗᲝ ᲤᲣᲚᲘ
2004-2006 ᲬᲬ.



ᲤᲐᲠᲗᲝ ᲤᲣᲚᲘ

2006 წლის IV კვარტალში ფართო ფულის აგრეგატი (M3) 9.9 პროცენტით (240.7 მლნ ლარი) გაიზარდა, რაც, ძირითადად, უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების 10.9-პროცენტიანი ზრდით არის გამოწვეული.

მიმდინარე წლის დეკემბერში, სექტემბერთან შედარებით, 240.7 მლნ ლარით გაიზარდა M3-ის მაჩვენებელი და 2661.7 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული წლის დასაწყისში არსებულ მონაცემზე 750.5 მლნ ლარით გაიზარდა. დაფიქსირებული ზრდა გამოწვეულია უცხოური ვალუტით დეპოზიტების მატებით.

ბოლო კვარტალში დეპოზიტები უცხოური ვალუტით 10.9 პროცენტით (124.9 მლნ ლარით) გაიზარდა და დეკემბრის ბოლოს 1272.5 მლნ ლარი შეადგინა, თორმეტი თვის განმავლობაში კი 431.2 მლნ ლარით გაიზარდა. რაც შეეხება ბანკებსგარეთ არსებულ ნაღდ ფულს, სამი თვის მანძილზე 9.1 პროცენტით არის მომატებული, ხოლო წლის დასაწყისიდან კი 12.4 პროცენტით (91.1 მლნ ლარი) და დეკემბერში 827.4 მლნ ლარი შეადგენს. M2 წლის დასაწყისიდან გაზრდილია 29.8 პროცენტით (319.3 მლნ ლარი) და 1389.2 მლნ ლარს უტოლდება.

ჩანართი 1. მონეტარული პოლიტიკა 2006 წლის IV კვარტალში

2006 წლის IV კვარტალში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა აქტიური მონეტარული პოლიტიკა გაატარა მაღალი ინფლაციის ზეწოლისა და უცხოური შემოღინებების სტერილიზაციისათვის. აღსანიშნავია, რომ 2006 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ღია ბაზრის ოპერაციების სრულყოფის მიზნით, ორი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. პირველი, მთავრობის ვალის სეკიურიტიზაცია და, მეორე, ახალი მონეტარული ინსტრუმენტის – სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვება (იხ. ჩანართი: „საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ინსტრუმენტები“).

IV კვარტალი ინფლაციის მაღალი მაჩვენებლით დაიწყო. III კვარტალში წლიურმა ინფლაციამ 14.5 პროცენტსაც კი მიაღწია, რაც ისტორიული მაქსიმუმია 1999 წლის შემდეგ. ასეთ ზეწოლას 2006 წლის აგვისტოში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ეროვნული ვალუტით მოზიდულ სახსრებზე მინიმალური სავალდებულო რეზერვების ნორმის გაზრდით უპასუხა, რამაც შედეგი გამოიღო და წლიურმა ინფლაციამ ნელ-ნელა კლება დაიწყო. ამას დაემატა ფულად ბაზარზე ამოღებული ლიკვიდობაც და სარეზერვო ფულის წლიური ზრდა ივლისის 21.3 პროცენტიდან ოქტომბერში 14.1 პროცენტამდე შემცირდა, რაც, თავისთავად, ინფლაციური ზეწოლის შემაკავებელი ძირითადი ფაქტორია. შეიძლება ითქვას, რომ მონეტარული პოლიტიკის ივლის-აგვისტოში დაწყებულმა გამკაცრებამ შედეგი გამოიღო, თუმცა ნოემბერში სხვა, უფრო სერიოზული პრობლემის წინაშე დადგა საქართველოს ეროვნული ბანკი. რუსეთის ემბარგოს შედეგად შემცირებულმა იმპორტმა და საქართველოს მოსახლეობის რუსეთიდან დაბრუნებულმა ნაწილმა ქვეყანაში ჭარბი უცხოური ვალუტა შექმნა. ამას დაემატა „საქართველოს ბანკის“ მიერ ლონდონის საფონდო ბირჟაზე აქციების გაყიდვა, რამაც ასევე ქვეყნის სავალუტო ბირჟის გავლით სარეზერვო ფულის ზრდაზე მოახდინა გავლენა. ამასთან, დეკემბერში სავალუტო ბირჟაზე განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი ძველი საგადასახადო დავალიანებების ნაწილის კონვერტაცია. საერთო ჯამში, ნოემბერ-დეკემბერში საქართველოს ეროვნული ბანკი იძულებული იყო სავალუტო ბირჟაზე, ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსის მკვეთრი რყევების თავიდან აცილების მიზნით, 238 მლნ აშშ დოლარი ეყიდა. ფულის მასის ზრდის შედეგად ნოემბრის ბოლოს სარეზერვო ფულის წლიური ზრდა 31.8 პროცენტს შეადგენდა, მაშინ, როცა ოქტომბერში 14.1 პროცენტი იყო. აღნიშნული ჭარბი ლიკვიდობის აბსორბირებისათვის საქართველოს ეროვნულმა ბანკმა აქტიურად გამოიყენა ღია ბაზრის ოპერაციებისათვის ახალი მონეტარული ინსტრუმენტი – სადეპოზიტო სერტიფიკატები 6 თვემდე ვადით, რომლის მეშვეობით მხოლოდ დეკემბრის განმავლობაში 269 მლნ ლარის ოდენობის ჭარბი ლიკვიდობა ამოიღო. მაქსიმალურმა წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა 12 პროცენტი შეადგინა. ამას დაემატა მაისში გადაფორმებული 48 მლნ ლარის ოდენობის 16-34 თვის ვადიანობის სახელმწიფო ობლიგაციები, რომლებიც დეკემბერში ასევე სრულად გაიყიდა. ჯამში, დეკემბერშივე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეძლო 318 მლნ ლარის ამოღების განხორციელება, რაც მაქსიმუმია საქართველოს ეროვნული ბანკის ისტორიაში.

ბრაფიკი 1

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საბანკო სისტემიდან ფულად ბაზარზე ამოღებული ლიკვიდობის ნაშთი
(+ წმინდა ამოღება; – წმინდა მიწოდება)
1998-2006 წწ.



ჩანართი 2. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ინსტრუმენტები

ცენტრალური ბანკები მონეტარული პოლიტიკის რეგულირებისათვის, ძირითადად, მინიმალურ სავალდებულო რეზერვებს, ღია ბაზრისა და მუდმივმოქმედ ოპერაციებს იყენებენ.

ღია ბაზრის ოპერაციები გულისხმობს ფასიანი ქაღალდების პირდაპირ ყიდვა/გაყიდვას და რეპო ოპერაციების წარმოებას, რომელიც ფასიანი ქაღალდების გირავნობით ხორციელდება. ცენტრალური ბანკები, ძირითადად, ღია ბაზრის ოპერაციებს იყენებენ რეგულარულად რეფინანსირებისათვის როგორც მოკლევადიანი (ერთი და ორკვირიანი), ისე გრძელვადიანი (ერთ თვეზე მეტი ვადიანობის) ინსტრუმენტებით. აღნიშნულ ოპერაციებს ასევე მიმართავენ დროებითი სახის მოკლევადიანი რყევების აღმოსაფხვრელადაც.

ღია ბაზრის ოპერაციები მოიცავს ფასიანი ქაღალდების ყიდვა/გაყიდვას საბანკო სისტემიდან ლიკვიდობის ამოღების მიზნით. პირველ რიგში, ღია ბაზრის ოპერაციები მოქმედებს საბანკო რეზერვებზე და, ამასთან, მულტიპლიკატორის ეფექტით გავლენას ახდენს კრედიტების მიწოდებაზე, ეკონომიკურ საქმიანობასა და, საბოლოოდ, ფასების დონეზე. ღია ბაზრის ოპერაციები შეიძლება ხორციელდებოდეს როგორც პირველად ბაზარზე (ფასიანი ქაღალდების გამოშვებით), ისე მეორეულ ბაზარზე.

მუდმივმოქმედი ინსტრუმენტები ასრულებს რამდენიმე მთავარ ფუნქციას. მიკროეკონომიკის დონეზე ხელს უწყობს საბანკო პორტფელის კორექტირებას, თუ დროებითი ლიკვიდობის პრობლემები შეექმნებათ. ამ მიზნით, ხშირად იყენებენ ერთდღიან სესხებს, რომლებზეც საპროცენტო განაკვეთი უფრო მაღალია, ვიდრე ფასიან ქაღალდებზე (ფაქტობრივად, როგორც საჯარიმო განაკვეთი). მაკროეკონომიკურ დონეზე მუდმივმოქმედი მექანიზმი ცენტრალურ ბანკს ეხმარება ლიკვიდობის ყოველდღიური მართვის განხორციელებაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად.

ასევე, მიღებული პრაქტიკაა ერთდღიანი დეპოზიტები. მათზე საპროცენტო განაკვეთი საბაზრო განაკვეთთან შედარებით დაბალია. მუდმივმოქმედი ინსტრუმენტების ვადა, როგორც წესი, 14 დღეს არ აღემატება.

2006 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, საქართველოს მთავრობასთან ერთად, საბაზრო მონეტარული ინსტრუმენტების ჩამოყალიბებას ჩაუყარა საფუძველი. 2006 წლის სექტემბრამდე საქართველოს ეროვნული ბანკი, ძირითადად, იყენებდა ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონებზე ინტერვენციებსა და სადეპოზიტო აუქციონების ინსტრუმენტებს. ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონები წარმოადგენს სავაჭრო მოედანს, სადაც ცენტრალური ბანკის ხელშეწყობით ხდება კომერციულ ბანკებს შორის ლიკვიდობის გადანაწილება უზრუნველყოფილი სესხების მეშვეობით. მონეტარული რეგულირების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი ასევე ერთვებოდა საკრედიტო რესურსების ვაჭრობებში. სადეპოზიტო აუქციონები ტარდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ხდება რესურსების მოზიდვა აუქციონის პრინციპით ეროვნულ ბანკში დეპოზიტების განთავსებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ინსტრუმენტები მოუქნელია, თუმცა ჩამოუყალიბებელი, ფორმირების პროცესში მყოფი საფინანსო ბაზრების შემთხვევაში, სხვა უფრო ეფექტიანი ინსტრუმენების გამოყენება შეუძლებელი იყო.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, მონეტარული ინსტრუმენტების განვითარების მხრივ, 2006 წლის განმავლობაში ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. პირველი, საქართველოს მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2006 წლის 20 მარტს გააფორმეს შეთანხმება „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“. ამ შეთანხმების საფუძველზე, 2006 წლის 17 მაისის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ არსებული საქართველოს მთავრობის 832.9 მლნ ლარის დავალიანებიდან 48.0 მლნ ლარი პირველად გადაფორმდა და მას შემდეგ ყოველწლიურად გადაფორმდება „ობლიგაციებად“, რომელთა ვადიანობა არის 16-60 თვე. დავალიანება სრულად დაიფარება 2030 წელს. აღნიშნული ობლიგაციები, როგორც მონეტარული ინსტრუმენტი, საქართველოს ეროვნულ ბანკს შეუძლია გამოიყენოს ღია ბაზრის ოპერაციებისათვის.

მეორე გადაწყვეტილება ეხება 2006 წლის სექტემბრიდან საკუთარი ფასიანი ქაღალდების – სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვებას. სადეპოზიტო სერტიფიკატი უფრო მოსახერხებელი და მისაღებია ბანკებისათვის, ვიდრე საკრედიტო და სადეპოზიტო აუქციონები. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების ვადიანობა ერთიდან ექვს თვემდეა და, შესაბამისად, ავსებს სახელმწიფო ობლიგაციებს.

მთავრობის ფასიანმა ქაღალდებმა და სადეპოზიტო სერტიფიკატებით ღია ბაზრის ოპერაციებმა, რომლებიც უფრო ეფექტიან და თანამედროვე ინსტრუმენტებს წარმოადგენს, ჩაანაცვლა ინტერვენციები საკრედიტო ბაზარზე და სადეპოზიტო

აუქციონები. აღნიშნული ინსტრუმენტები საქართველოს ეროვნულ ბანკს 2006 წლის სექტემბრის შემდეგ აღარ გამოუყენებია.

ახალი ფასიანი ქაღალდების გამოშვებით ბაზარზე შეიქმნება მარაგი, რომელიც ხელს შეუწყობს სხვა მონეტარული ინსტრუმენტების ამოქმედებას, როგორიცაა რეპო ოპერაციები, საკრედიტო აუქციონები და ერთდღიანი სესხები. ფასიანი ქაღალდების ბაზრის სრულყოფის შემდგომ საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ინსტრუმენტების მოქმედების რაოდენობრივი რეგულირების პრინციპი შეიცვლება კიდევ უფრო ეფექტიანი, ფასისმიერი რეგულირების პრინციპით.

3.2. საპროცენტო განაკვეთების, სადეპოზიტო ვალდებულებებისა და ეკონომიკის დაკრედიტების დინამიკა

2006 წლის IV კვარტალში ფულად ბაზარზე შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურ მონეტარულ პოლიტიკას ატარებდა. მის მიერ გამოშვებული სახაზინო სერტიფიკატებითა და მთავრობის ვალის სეკიურიტიზაციის შედეგად მიღებული მთავრობის ფასიანი ქაღალდებით წლის ბოლოსათვის საბანკო სისტემიდან ამოღებულ იქნა 322.4 მლნ ლარის ოდენობის ჭარბი ლიკვიდობა. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების წილი, რომელიც ჯერ კიდევ ნოემბერში საბანკო სექტორის აქტივების მხოლოდ 0.3 პროცენტს შეადგენდა, დეკემბრის ბოლოსათვის 7.7 პროცენტამდე გაიზარდა.

2006 წლის ბოლოსათვის ეკონომიკურ სექტორებს შორის სესხების განაწილებამ გარკვეული ცვლილება განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტური მაჩვენებლებით ვაჭრობის სფეროში გაცემულმა სესხებმა 2005 წლის ბოლოსთან შედარებით 654 მლნ ლარიდან 840 მლნ ლარამდე მოიმატა, ვაჭრობის სექტორისათვის გაცემული სესხების წილმა მთლიანად ეკონომიკისათვის გაცემული სესხების ოდენობაში მნიშვნელოვნად იკლო. თუ 2005 წლის ბოლოს ვაჭრობის წილი 38.5 პროცენტს შეადგენდა, 2006 წლის ბოლოსათვის ეს მაჩვენებელი 31.9 პროცენტამდე შემცირდა.

მნიშვნელოვნად – 4.7 პროცენტიდან 13.7 პროცენტამდე გაიზარდა მომსახურების სექტორისათვის გაცემული სესხების წილი. ამასთან, გაუმჯობესდა მათი ხარისხი. ვადაგადაცილებულმა დავალიანებამ 2.4 პროცენტიდან 2.0 პროცენტამდე მოიკლო. ასევე, გაიზარდა მშენებლობის სექტორში გაცემული სესხების წილი, თუმცა მცირედით მოიმატა ვადაგადაცილებული სესხების მაჩვენებელმა.

2006 წელს კიდევ უფრო გაიზარდა სამომხმარებლო სესხების მნიშვნელობა საკრედიტო პორტფელში. თუ 2005 წლის ბოლოს სამომხმარებლო სესხები ეკონომიკისათვის გაცემული სესხების 28.5 პროცენტს შეადგენდა, 2006 წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი

ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ 3.2.1

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲡᲔᲡᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲓᲐᲒᲐᲓᲐᲪᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲓᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲚᲘ ᲡᲔᲡᲮᲔᲑᲨᲘ



ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ 3.2.2
ᲘᲐᲠᲝᲗᲔᲙᲣᲠᲘ ᲡᲔᲡᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲐ



ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

29.3 პროცენტამდე გაიზარდა. საგრძნობლად გაუმჯობესდა ბანკების მიერ სამომხმარებლო სესხების რისკის მართვა, რაც სამომხმარებლო სესხებისათვის დამახასიათებელი ვადაგადაცილების მაღალი მაჩვენებლის 3.8 პროცენტიდან 2.6 პროცენტამდე შემცირებაში აისახა. სამომხმარებლო სესხები საკრედიტო პორტფელში მაღალი წონის გამო საბანკო აქტივების მნიშვნელოვანი წყაროა. 2006 წლის განმავლობაში სამომხმარებლო სესხები თითქმის 60 პროცენტით გაიზარდა. მათი სწრაფი ზრდა იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც ეკონომიკაში მოთხოვნის სტიმულირება განაპირობა და წლის მანძილზე ინფლაციის რისკი გაზარდა.

სამომხმარებლო სესხების მოცულობის მატება, ძირითადად, გრძელვადიანი სესხების ზრდის ხარჯზე მოხდა. 2006 წლის განმავლობაში მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხები 39.6 პროცენტით გაიზარდა მაშინ, როდესაც გრძელვადიანმა სამომხმარებლო სესხებმა 96.6 პროცენტით მოიმატა. მიუხედავად სესხების მოცულობის სწრაფი ზრდისა, საპროცენტო განაკვეთები გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე უმნიშვნელოდ შეიცვალა და 2006 წლის ბოლოსათვის 18.9 პროცენტს შეადგენდა.

იპოთეკური სესხების წონა საკრედიტო პორტფელში სტაბილურად მატულობდა 2006 წლის განმავლობაში. IV კვარტალის მანძილზე იპოთეკური სესხების წილი 17.6 პროცენტიდან 18.3 პროცენტამდე გაიზარდა, საშუალო საპროცენტო განაკვეთი კი 15.0 პროცენტს შეადგენდა.

სესხების დოლარიზაცია

ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ 3.2.3
ᲡᲐᲡᲔᲡᲮᲝ ᲞᲝᲠᲢᲤᲔᲚᲘᲡ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ



ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

ეროვნული ვალუტის კურსის გამყარების კვალდაკვალ, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ეკონომიკისათვის გაცემულ სესხებში უცხოური ვალუტის წილი შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. 2006 წლის IV კვარტალში, მიუხედავად ლარის კურსის გამყარებისა, სესხების დოლარიზაციის შემცირება შეჩერდა და უმნიშვნელო ზრდაც კი დაფიქსირდა. წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, სესხების 73.8 პროცენტი უცხოური ვალუტით იყო გაცემული.

აღსანიშნავია, რომ დოლარიზაცია სესხების ვადიანობასთან ერთად იზრდება. 2006 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ერთ თვეზე ნაკლები ვადიანობის სესხების დოლარიზაცია მხოლოდ 36.6 პროცენტი იყო, ერთიდან სამ თვემდე – 46.7 პროცენტი, სამიდან ექვს თვემდე – 64.5 პროცენტი, ექვსიდან ერთ წლამდე – 56.6 პროცენტი, ხოლო ერთ წელზე მეტი ვადიანობის სესხების დოლარიზაცია 83.2 პროცენტს შეადგენდა. ეს იმის მანიშნებელია, რომ

ბანკები გრძელვადიან პერსპექტივაში ლარის კურსის გაუფასურების რისკს ჯერ კიდევ დიდ წონას ანიჭებენ. ამასვე აღასტურებს ვადიანობის მიხედვით დევალვაციის პრემიის განხილვა. გრძელვადიანი სესხების გაცემისას ბანკები, საშულოდ, ლარის წლიურ 4-პროცენტიან გაუფასურებას ითვალისწინებენ. მოკლევადიან სესხებში კი პირიქით – ლარის გამყარების მოლოდინი არის გამოკვეთილი.

დეპოზიტები

2006 წლის ბოლოსათვის ვადიანი დეპოზიტების მოცულობა გაზრდილია წლიური 51.2 პროცენტით და 949.827 მლნ ლარს შეადგენს, ეროვნული ვალუტით დეპოზიტებზე საშუალო სარგებელი – 8.4 პროცენტს, ხოლო დეპოზიტებზე უცხოური ვალუტით – 7.9 პროცენტს. წლის დასაწყისისათვის საშუალო საპროცენტო განაკვეთები, შესაბამისად, 7.4 და 7.3 პროცენტი იყო. როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთების მატება სადეპოზიტო ბაზარზე კონკურენციის გაძლიერების შედეგია.

აღსანიშნავია, რომ გრძელვადიანი დეპოზიტები ლარით 73.9 პროცენტით გაიზარდა მაშინ, როდესაც უცხოური ვალუტით დეპოზიტების ზრდამ მხოლოდ 48,4 პროცენტი შეადგინა. მიუხედავად ამისა, ვადიანი დეპოზიტები მაღალი დოლარიზაციით გამოირჩეოდა. 2006 წლის განმავლობაში უცხოური ვალუტის წილი ვადიან დეპოზიტებში 88.8 პროცენტიდან მხოლოდ 87.1 პროცენტამდე შემცირდა. დოლარიზაციის ცვლილება გამოწვეულია ლარის კურსის გამყარებით და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით. 2006 წლის ბოლოს საპროცენტო განაკვეთი ლარით მოზიდულ ვადიან დეპოზიტებზე, საშუალოდ, 8.4 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოური ვალუტით მოზიდულ ვადიან დეპოზიტებზე – საშუალოდ, 7.9 პროცენტს.

ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ 3.2.4

ᲒᲠᲫᲔᲚᲕᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲓᲔᲞᲝᲖᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲣᲢᲝ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲐ



ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ 3.3.1

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲣᲢᲝ ᲑᲘᲠᲟᲐᲖᲔ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲚᲔᲑᲐ-ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲮᲕᲐᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ 2006 წ., IV ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘ



3.3. სავალუტო კურსი, დოლარიზაცია და საგადამხდელო ბალანსი

სავალუტო ბაზარი

2006 წლის IV კვარტალში, ძირითადად (თუ არ ჩავთვლით კვარტალის პირველ ორ კვირაში დაფიქსირებულ ლარის გაუფასურებას), შენარჩუნდა წლის განმავლობაში დაფიქსირებული აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლის კურსის გამყარების ტენდენცია. თუ კვარტალის დასაწყისში ლარის კურსი

ბრაფიკი 3.3.2

ლარის ბანკნოტური კურსის დინამიკა
2006 წ., IV კვარტალი

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

ბრაფიკი 3.3.3

ლარის გაცვლის კურსის დინამიკა ევროსა და
აშშ დოლარის მიმართ
2005-2006 წწ.



ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

ბრაფიკი 3.3.4

ლარის გაცვლის კურსის დინამიკა რუსული რუბლისა
და დიდი ბრიტანეთის ბირვანქა სტერლინგის მიმართ
2005-2006 წწ.



1.7355 იყო, 31 დეკემბრისთვის 1.7135-ს მიაღწია, რაც 1.27-პროცენტიან გამყარებას ნიშნავს. ამასთან, 2005 წლის IV კვარტალთან შედარებით ლარის კურსი გამყარდა როგორც პერიოდის ბოლო (4.4 პროცენტი), ისე პერიოდის საშუალო (3.4 პროცენტი) მონაცემებით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებით მაღალი აქტივობა დაფიქსირდა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა კომერციული ბანკების მხრიდან უცხოური ვალუტის მიწოდება, ხოლო მოთხოვნა რამდენადმე შემცირდა. თუ 2005 წლის IV კვარტალში კომერციული ბანკების მიწოდება 84.5 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, 2006 წლის IV კვარტალში ეს მაჩვენებელი 3.5-ჯერ გაიზარდა და 299.2 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც, კომერციული ბანკების მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისად, 80 მლნ ლარსა (2005 წ.) და 66.5 მლნ ლარს (2006 წ.) შეესაბამება. ამ ფონზე მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო ბირჟაზე ინტერვენციების მოცულობა. თუ 2005 წლის IV კვარტალში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ვალუტის შესყიდვის მოცულობა მხოლოდ 28.1 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, 2006 წლის IV კვარტალში ეს მაჩვენებელი 9-ჯერ გაიზარდა და 254.8 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. რაც შეეხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ვალუტის გაყიდვას, როგორც 2005, ისე 2006 წლის IV კვარტალში, ეს მონაცემები შესაბამისად, 10.2-ისა და 24.1 მლნ აშშ დოლარის ტოლია. აქედან, საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებული მაჩვენებელი, ძირითადად, მიღებულია ოქტომბრის განმავლობაში განხორციელებული გაყიდვების შედეგად, როდესაც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მთლიანობაში 22.6 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. ისევე, როგორც წინა პერიოდებში, საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერვენციები მიმართული იყო ლარის კურსის დინამიკაში მკვეთრი, არასასურველი ნახტომების წინააღმდეგ, რაც, საბოლოო ჯამში, ეროვნული ვალუტის თანდათან გამყარებით გამოიხატა.

ლარის გაცვლის კურსის თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დაფიქსირებული დინამიკის მსგავსი იყო ბანკნოტურ სეგმენტზე ლარის კურსის ქცევაც, ხოლო განსხვავება ლარის ყიდვისა და გაყიდვის კურსებს შორის საანგარიშო პერიოდში შედარებით მცირეა (საშუალო მნიშვნელობები კვარტალის განმავლობაში შესაბამისად – 1.7308 და 1.7366; სტანდარტული გადახრები – 0.008914 და 0.009023, ყიდვისა და გაყიდვის კურსებისათვის), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ლარის კურსის დინამიკას ქვეყნის მასშტაბით ერთი და იგივე მამოძრავებელი ძალა განსაზღვრავდა.

ბრაფიკი 3.3.5

ლარის გაცვლის კურსის დინამიკა შვეიცარიული ფრანკისა და თურქული ლირას მიმართ
2005-2006 წწ.



ბრაფიკი 3.3.6

რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლის კურსის ინდექსი
დეკემბერი, 1995=100



ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

ბრაფიკი 3.3.7

ლარის რეალური გაცვლის კურსის ინდექსი სხვადასხვა ვალუტების მიმართ
დეკემბერი, 1995=100



ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

ლარის გაცვლის კურსი ევროს მიმართ, ტრადიციულად, დოლარის მიმართ კროსკურსით განისაზღვრებოდა და კვარტალის განმავლობაში ლარის კურსი ევროს მიმართ 2.69 პროცენტით გაუფასურდა, რაც III კვარტალში დაფიქსირებული ტენდენციის საპირისპირო მოვლენა იყო და ეს პარამეტრი, პრაქტიკულად, 2006 წლის III კვარტალის დასაწყისში დაფიქსირებულ მაჩვენებელს დაუბრუნდა (2.197 – კვარტალის დასაწყისში, 2.2562 – კვარტალის ბოლოს). როგორც გრაფიკიდან ჩანს, ანალოგიური ტენდენციებით ხასიათდებოდა ლარის გაცვლის კურსი სხვა ვალუტების მიმართაც. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგთან ლარის გაუფასურებამ 3.73 პროცენტი შეადგინა, თურქულ ლირასთან – 5.12 პროცენტი, ხოლო შვეიცარიულ ფრანკთან – 1.36 პროცენტი.

რეალური გაცვლის კურსი

2006 წლის IV კვარტალში რეალური ეფექტური გაცვლის კურსი III კვარტალთან შედარებით უმნიშვნელოდ – 0.31 პროცენტით გაუფასურდა, 2005 წლის ბოლოსთან შედარებით კი 0.09 პროცენტით გამყარდა. კვარტალის განმავლობაში ნომინალური ეფექტური გაცვლის კურსი 1.1 პროცენტით გაუფასურდა, ხოლო გასული წლის დეკემბერთან შედარებით ამ პარამეტრის გაუფასურებამ 1.72 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება ლარის რეალური გაცვლის კურსის დინამიკას, ცალკეული ვალუტების მიმართ ის არაერთგვაროვანი იყო. კვარტალის მანძილზე ლარის რეალური გაცვლის კურსი გამყარდა რუსული რუბლისა (0.24 პროცენტი) და აშშ დოლარის მიმართ (4.3 პროცენტი), ხოლო გაუფასურდა თურქული ლირასა (2.48 პროცენტი) და ევროს (0.43 პროცენტი) მიმართ.

ეკონომიკის საგარეო სექტორი და საგადასახდელო ბალანსი[1]

წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2006 წლის II და III კვარტალებში საგადასახდელო ბალანსის რუსეთის ემბარგოს გავლენით დარღვეული წონასწორობა IV კვარტალში გარკვეულწილად აღდგა და ამ პერიოდის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 2005 წლის IV კვარტალის 118 პროცენტი შეადგინა, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი 2006 წლის I კვარტალში იყო 126,

[1] გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

ცხრილი 3.3.1

მიმდინარე ანგარიშის დინამიკა 2006 წლის კვარტალების მიხედვით (მლნ აშშ დოლარი)

	სულ	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
მიმდინარე ანგარიში	-771.6	-120.5	-231.1	-257.2	–162.8
სავაჭრო ბალანსი:					
საქონელი	-1592.5	-221.2	-382.9	-499.6	-488.8
მომსახურება	369.9	22.6	63.1	121.7	162.5

ბრაფიკი 3.3.8

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დინამიკა



ბრაფიკი 3.3.9

საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2005-2006 წწ.



მეორეში – 296, ხოლო მესამეში – 239 პროცენტი. ასეთი პოზიტიური შემობრუნება საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორის, რუსეთის დაკარგვის შემდეგ ახალი სავაჭრო პარტნიორების სწრაფად მოძებნამ და არსებულ პარტნიორებთან ვაჭრობის მოცულობის მასშტაბების ზრდამ განაპირობა.

2006 წლის IV კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 162.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიური დეფიციტის 21 პროცენტია. ასეთი შედეგის მიღწევა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით რთული 2006 წლის ბოლოს შესაძლებელი გახდა, ერთი მხრივ, საქონლით საგარეო სავაჭრო ბალანსის წონასწორობის გარკვეულწილად აღდგენით, ხოლო მეორე მხრივ, საგარეო სავაჭრო ბალანსის მომსახურების სერიოზული გაუმჯობესებით.

განვლილ საანგარიშო წელს საგადასახდელო ბალანსის დეფიციტმა 771.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 2005 წლის ანალოგიური მაჩვენებლის დონეს 83.9 პროცენტით გადააჭარბა, რაც 2000-2006 წლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

2006 წელს საგადასახდელო ბალანსის სიდიდეს კვლავ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა საქონლით საგარეო ვაჭრობა. ამ უკანასკნელის დინამიკა ნათლად ასახავს რუსეთის მიერ ქართული პროდუქციის აკრძალვის შედეგებსა და წლის ბოლომდე მოვლენების განვითარების სურათს. მიუხედავად სიძნელეებისა, წლის განმავლობაში საქართველოს ექსპორტი 21.5 პროცენტით გაიზარდა და 1930.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. თუმცა, ექსპორტის ზრდის ტემპი დაბალი იყო როგორც წინა წლების ანალოგიურ მაჩვენებლებზე, ისე იმპორტის ზრდის ტემპზეც (39.7 პროცენტი). იმპორტის მოცულობამ წლის განმავლობაში 3522.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საგარეო სავაჭრო ბალანსმა – 1592.6 მლნ აშშ დოლარი (2005 წლის მონაცემზე 70.9 პროცენტით მეტი).

რუსეთის მიერ დაწესებულმა სანქციებმა საქართველოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობა უფრო მოქნილი და ადაპტირებადი გახადა. უმსხვილესი ჩრდილოელი პარტნიორის გამოცხადებული ცხრათვიანი ემბარგოს პირობებში თურქეთთან, გერმანიასთან, უკრაინასთან, ბულგარეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანასთან საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობის არეალი შედარებით გაფართოვდა.

რუსულ ბაზარზე ქართული სასმელების, ციტრუსებისა და სხვა პროდუქციის აკრძალვის შედეგად ქართულ ექსპორტს თითქმის 70-80 მლნ აშშ დოლარი მოაკლდა. თუმცა, ეს დანაკლისი მნიშვნელოვნად შეავსო ისეთი პროდუქციის ექსპორტის ზრდამ, როგორიცაა ფეროშენადნობები (ექსპორტირებულია 9.6 მლნ აშშ დოლარით, ანუ 12.0 პროცენტით მეტი, ვიდრე 2005 წელს),

ბრაფიკი 3.3.10
ღვინის ექსპორტის დინამიკა



ბრაფიკი 3.3.11
მინერალური წყლის ექსპორტის დინამიკა



ცხრილი 3.3.2
უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფების განაწილება იმპორტიორი ქვეყნების მიხედვით

	ფერადმეტალების ნაგლეჯების ან კონცენტრატების ჩაი ლეთონების ჯართი	ნავთობი და კაკალი	მსუბუქი ავტომობილები	საფრენი აპარატები	ოქრო	სასუქები	ღვინი	ნილეულის ჯართი	ეთილის სპირტი	მინერალური წყლები
ხვედრითი წილი მთლიან ექსპორტში	**9.0**	**8.0**	**7.3**	**5.7**	**5.1**	**5.0**	**5.0**	**4.7**	**4.1**	**3.0**	**3.0**	**2.4**
აზერბაიჯანი				1.2			2.1					
ამერიკა				0.1	64.7						5.9	5.4
აშშ	33.1		1.5			0.8		40.8	3.9	0.2	0.2	5.0
ბელორუსი									3.8		3.0	1.7
ბულგარეთი		61.6			0.1							
გაერთიანებული სამეფო			2.0	0.6		9.2			0.8	0.8	0.1	
გერმანია		15.9	1.5	20.1					0.5		0.1	
ესპანეთი		8.8	3.2	1.9				8.8				
თურქეთი	13.5	3.8	68.1		15.5			3.0	0.1	30.0		
თურქმენეთი						81.6			0.1			
ინდოეთი			0.8							20.2		
იტალია				30.3				5.5				
კანადა							97.9		0.3			0.1
მექსიკა	5.8											
ნიდერლანდები			1.6	0.5					0.1	1.1	0.8	
რუსეთი	26.0			8.5		6.6			40.5		20.1	45.4
საბერძნეთი	1.2			2.6				4.9				
საფრანგეთი	3.6			2.3				9.3				
სერბეთი		9.9										
სომხეთი				1.2	12.9			20.4			1.2	
უკრაინა	14.1			2.9	3.7				28.2		55.0	26.2
ყაზახეთი				0.1		1.8			11.9		11.0	6.9
ჩეხეთი				10.2	0.1				0.1		0.2	
ჩინეთი			0.2	0.1					0.5	28.0		
სხვა ქვეყნები	2.7	0.0	21.1	17.4	3.0	0.0	0.0	7.3	9.2	19.7	2.4	9.3

აზოტოვანი სასუქები (10.8 მლნ აშშ დოლარით, ანუ 30.1 პროცენტით მეტი), ოქრო (14.6 მლნ აშშ დოლარით, ანუ 42.1 პროცენტით მეტი), სპილენძის ჯართი (18.7 მლნ აშშ დოლარით, ანუ 2.6-ჯერ მეტი), მსუბუქი ავტომობილები (32.7 მლნ აშშ დოლარით, ანუ 2.8-ჯერ მეტი), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (43.1 მლნ აშშ დოლარით, ანუ 2.2-ჯერ მეტი). აღსანიშნავია, რომ 2005 წელი რეკორდული იყო როგორც ღვინის, ისე მინერალური წყლების ექსპორტის მოცულობის მიხედვით. ღვინის ექსპორტის 77 პროცენტი და მინერალური წყლების 73 პროცენტი რუსეთზე მოდიოდა. 2006 წელს რუსეთში ღვინის ექსპორტის მოცულობა 1.4-ჯერ ნაკლებია 2000 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, ხოლო მინერალური წყლების ექსპორტის მოცულობა თითქმის 2001 წლის დონემდე დაეცა. რუსეთის ემბარგოს გამო, 2006 წელს საქართველოს საექსპორტო შემოსავლებს 50 მლნ აშშ დოლარამდე დაეკლდა ღვინის ექსპორტიდან შემოსავლების, ხოლო 15 მლნ დოლარამდე – მინერალური წყლების საექსპორტო შემოსავლების სახით.

რუსული ემბარგოს მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გარკვეულწილად შეასუსტა ქართული პროდუქციის ექსპორტის გეოგრაფიული თვალსაზრისით რეორიენტაციამ. მიუხედავად არა ერთი სიძნელისა, საქართველომ რუსეთის ამ გამოწვევას, ძირითადად, თავი გაართვა და 9 თვეში ღვინის, ეთილის სპირტის, მინერალური წყლების, თხილისა და ზოგიერთი სხვა პროდუქციის ექსპორტში რუსეთის ადგილი აქტიურად ჩაანაცვლა ახალი პარტნიორებით უკრაინაში, ყაზახეთში, აზერბაიჯანსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

რუსეთში მინერალური წყლების ექსპორტის თითქმის 2.2-ჯერ შემცირების პირობებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს ექსპორტის მოცულობა მოლდოვასა და უკრაინაში (1.3-1.3-ჯერ), ამერიკის შეერთებულ შტატებსა და პოლონეთში (1.5-1.5-ჯერ), ბელორუსსა და თურქმენეთში (1.7-1.7-ჯერ), ბულგარეთში (1.8-ჯერ), კვიპროსში (2.0-ჯერ), ყაზახეთში (2.2-ჯერ). საქართველოდან მინერალური წყლების იმპორტიორი ქვეყნების რიცხვს შეუერთდა ლიტვა, ირანი, ირლანდია, უზბეკეთი და ყირგიზეთი.

2006 წლის მანძილზე საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის მოცულობამ 3522.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. იმპორტის მატების თითქმის 20 პროცენტი მოდის ენერგომატარებლების იმპორტის მოცულობის ზრდის ხარჯზე, რაც, ერთი მხრივ, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე მსოფლიო ფასების ზრდის, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთის მიერ საქართველოსთვის ბუნებრივი აირის გაძვირების შედეგია. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ისეთი სასაქონლო ჯგუფების იმპორტის მოცულობა, როგორებიცაა: სამკურნალო საშუალებები (1.2-ჯერ), მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები (1.7-1.7-ჯერ), კომპიუტერული ტექნიკა (2.1-ჯერ), ხორბალი და რადიოსატელეფონო აპარატურა (2.2-2.2-ჯერ).

ბრაფიკი 3.3.12

უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების ათეულის პროდუქციის მოცულობის დინამიკა (მლნ აშშ დოლარი)
2005-2006 წწ.



ბრაფიკი 3.3.13

უმსხვილესი საიმპორტო ათეულის პროდუქციის მოცულობის დინამიკა (მლნ აშშ დოლარი)
2005-2006 წწ.



განვლილი საანგარიშო წლის განმავლობაში, რუსეთის მიერ შექმნილ სავაჭრო ბარიერებს იმპორტის გეოგრაფიულ არეალზე განსაკუთრებული გავლენა არ მოუხდენია. მაგალითად, რუსეთიდან ხორბლის იმპორტის ჩანაცვლება ხდება ნაწილობრივ ყაზახეთსა და ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

საგარეო ვაჭრობის მომსახურების მოცულობა, მიუხედავად რუსეთის მიერ სატრანსპორტო მიმოსვლის აკრძალვისა, 2005 წელთან შედარებით გაიზარდა და მისმა დადებითმა სალდომ 370 მლნ აშშ დოლარს მიაღწია (2.9-ჯერ მეტი). მომსახურების ბალანსის ასეთი შთამბეჭდავი შედეგი წარმატებულმა საკურორტო სეზონმა განაპირობა. გარდა ამისა, ნავთობსადენის ამოქმედებისა და მისი სათანადოდ დატვირთვის კვალობაზე მილსადენი ტრანსპორტიდან მიღებული შემოსავლების ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა. 2006 წელს მილსადენი ტრანსპორტის ფუნქციონირებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 68.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ნაცვლად 2005 წლის 38.6 მლნ აშშ დოლარისა. ამასთან, სატრანსპორტო მომსახურების ბალანსი, წინა წლისაგან განსხვავებით, დეფიციტური იყო და 74.4 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, ნაცვლად 2005 წლის 117.9 მლნ აშშ დოლარის მოცულობის დადებითი ბალანსისა.

2006 წელს ქვეყანაში ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროცესის მიმდინარეობის, ასევე მოსაზღვრე სახელმწიფოებთან მიმოსვლის პროცედურების ლიბერალიზაციისა და უვიზო (30 ქვეყანასთან) რეჟიმის ფონზე, საქმიანი და პირადი ტურიზმის მასშტაბების განსაკუთრებული გაფართოება შეინიშნებოდა. უცხოელი ტურისტების რიცხვის ზრდას მარტო ფოთისპირა რაიონებში არ ჰქონია ადგილი, გამოიკვეთა ინტერესის გაძლიერება მოკლევადიანი ექსტრემალური, სათავგადასავლო, ბიზნეს-, ეკო- და ღვინის ტურიზმისადმი. გაჩნდა ბიზნესტურებზე მოთხოვნილებაც, ეკოლოგიურად სუფთა ხილისა და ბოსტნეულის იმპორტირების მიზნით. დაინტერესება უკვე რამდენიმე ევროპულმა ქვეყანამ გამოიჩინა. 2007 წელს ფონდი „ათასწლეულის გამოწვევა საქართველო“ ტურისტული ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის სექტორის სარეაბილიტაციოდ სარისკო კაპიტალის სახით 32.5 მლნ აშშ დოლარის დაბანდებას გეგმავს. 2006 წლის მანძილზე ქვეყანაში შემოვიდა 979.7 ათასი ტურისტი – 438 ათასით, ანუ 1.8-ჯერ მეტი, ვიდრე 2005 წელს. უცხოელთა მოზიდვას ხელს უწყობს საქართველოს მონაწილეობა ტურიზმის სფეროში გამართულ საერთაშორისო გამოფენებში, სადაც ვრცელდება ინფორმაცია საქართველოს კურორტებისა და რეკრეაციული პოტენციალის შესახებ.

2006 წლის განმავლობაში ქვეყნიდან გასული საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა 395.4 ათასი ერთეულით გაიზარდა და 1.3 მლნ კაცი შეადგინა. თუმცა, ამ რიცხვის სერიოზული წილი კვლავ მოდის ე. წ.

ცხრილი 3.3.3

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფების განაწილება ექსპორტიორი ქვეყნების მიხედვით

	ნავთობი და ნავთობპროდუქტები	მსუბუქი ავტომობილები	ბუნებრივი აირი	სამკურნალო საშუალებები	ხორცი	შაქარი	კავშირგაბმულობის აპარატურა	გამთვლელი მანქანები	საგზაო ავტომობილები
ხელრითი წილი მთლიან იმპორტში	**12.0**	**8.0**	**5.8**	**3.1**	**2.7**	**1.8**	**1.6**	**1.3**	**1.1**
ავსტრია		0.7		5.2				1.3	0.2
არაბთა გაერთიანებული საემიროები		5.2				0.1	25.7	9.5	0.4
აზერბაიჯანი	52.5		2.7	0.2	0.2	18.2	0.1		0.1
აშშ	0.1	17.3		1.0	7.2		18.5	3.9	0.2
ბელარუსი				1.3		9.1			8.7
ბელგია		4.2		3.3		0.1		0.2	3.5
ბულგარეთი	10.0	0.8	0.2	4.9	1.8				0.8
ბრაზილია						40.0			
გაერთიანებული სამეფო				2.9		1.7	2.3	4.4	1.0
გერმანია	0.4	45.6		10.2		0.1	8.7	12.4	22.3
ესპანეთი		0.2		0.4					0.2
თურქეთი	1.1	1.6		6.8	0.3	3.9	15.3	1.5	18.9
თურქმენეთი	22.3		0.7						
იაპონია		10.9		0.1			0.5	0.1	0.1
ინდოეთი				1.7					
ნიდერლანდები		3.3		3.4			0.4	29.8	5.2
რუმინეთი	8.2			0.3					
რუსეთი	1.3	1.8	95.9	3.2	68.3	3.3	0.2	0.4	7.2
საფრანგეთი		2.1		8.0		8.9	0.4	0.8	0.8
სომხეთი				0.5	0.9				0.3
უკრაინა	0.3			6.1	0.4	1.2	0.4	6.2	27.6
ფინეთი							12.9	2.7	
ყაზახეთი					16.9				
ჩინეთი		0.1		0.1			1.3	11.1	
სხვა ქვეყნები	3.8	6.2	0.5	40.4	4.0	13.4	13.3	15.7	2.5

ცხრილი 3.3.4

მომსახურების ბალანსის დინამიკა

	სულ, 2006 წ.	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
მომსახურების ბალანსი	369.9	22.6	63.1	121.7	162.5
საგრანსპორტო მომსახურება	-74.4	-5.1	-10.4	-30.2	-28.7
მილსადენი ტრანსპორტი	68.8	15.9	15.8	18.5	18.6
ტურიზმი	351.9	6.5	53.6	126.4	165.3
სხვა მომსახურება	23.7	5.4	4.0	6.9	7.4

ცხრილი 3.3.5

შემოსული ტურისტების რაოდენობა, ათასი კაცი

	სულ, 2006 წ.	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
შემოსული ტურისტების რაოდენობა					
2005 წ.	542.0	84.4	125.5	182.6	149.5
2006 წ.	979.7	119.8	174.4	310.5	375.0

„შოპ-ტურებზე“, რაც, ძირითადად, საქონლის იმპორტს უკავშირდება და შედარებით ნაკლებად – ტურისტული მომსახურების იმპორტს. ამ ვითარებისა და ტურისტული მომსახურების ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდის ფონზე, ტურისტული მომსახურების დადებითმა სალდომ 351.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რამაც მნიშვნელოვნად უზრუნველყო მომსახურების ბალანსის პოზიტიური ტრაექტორია.

მიმდინარე ტრანსფერტები, კერძოდ ფულადი გზავნილები[1], კვლავ რჩება არა მარტო საგადასახდელო ბალანსის, არამედ ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის კონიუნქტურის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორად. ფულადი გზავნილები მიმდინარე ტრანსფერტების უდიდეს ნაწილს – მის 97.9 პროცენტს შეადგენს. რუსეთის მიერ საქართველოსაკენ ფულადი გზავნილების შეჩერების მცდელობის მიუხედავად, 2006 წელს კვლავ გრძელდებოდა ასეთი ტრანსფერტების ნაკადების შემოსვლა, მათ შორის რუსეთიდანაც. შედეგად ეს მაჩვენებელი, 2005 წელთან შედარებით, 35.2 პროცენტით გაიზარდა და 545 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

კაპიტალისა და ფინანსური რესურსების ანგარიშის დადებითმა სალდომ წლის განმავლობაში 746.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 1.7-ჯერ აღემატება 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. აქედან, გაბრდილი ოდენობის 75 პროცენტზე მეტი ფინანსური ანგარიშის მატებაზე მოდის. ფინანსური ანგარიშის დადებითი სალდო საანგარიშო პერიოდში 1.6-ჯერ გაიზარდა და 626.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც უცხოური პირდაპირი ინვესტიციების სერიოზული ზრდით არის განპირობებული. მთელი წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ინვესტიციები ხორციელდებოდა ქვეყნის საბანკო, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკისა და მანქანათმშენებლობის სექტორებში. წინასწარი შეფასებით, 2006 წელს შემოსული ინვესტიციების მოცულობამ 1 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. 2005 წელს ბრიტანული კომპანია BP-ის (British Petroleum) გარდა, მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელეს ყაზახეთმა, თურქეთმა. ამერიკის შეერთებული შტატებმა, აზერბაიჯანმა და საფრანგეთმა.

თუმცა, მიუხედავად იმ უპირატესობებისა, რაც პირდაპირ ინვესტიციებს გააჩნია მოცემული ქვეყნისათვის, ისინი, ინფლაციაზე ზეწოლის თვალსაზრისით, სერიოზული შეშფოთების საფუძველიც ხდება არაერთი ქვეყნისთვის,

[1] ფულადი გზავნილები წარმოადგენს მიმდინარე ტრანსფერტების ერთ-ერთ სახეს, რომელიც განპირობებულია შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაციით და უკავშირდება სხვა ქვეყნებში დასაქმებული მოქალაქეების მიერ თავიანთი ქვეყნებში ოჯახის წევრებისა და ახლობლებისათვის ფულადი სახსრების გაგზავნას. ჩვენს ქვეყანაში ამ ინფორმაციის წყაროა კომერციული ბანკების ინფორმაცია სწრაფი ფულადი გზავნილების („ვესტერნ იუნიონით“, „მანი გრამით, „ანელი კით“, „კაკკასუს ექსპრესით“ და სხვა სისტემებით განხორციელებული ოპერაციები) მოცულობების შესახებ. საქართველოში მსგავსი გზავნილები ხორციელდება ასევე არაფორმალური არხებით (ნაცნობების მეშვეობით ნაღდი ფულის გაგზავნა და სხვ.), თუმცა ამ სახის ოპერაციები ძნელად ექვემდებარება სტატისტიკურ აღრიცხვას და, შესაბამისად, აქ მოყვანილ გაანგარიშებებში შეტანილი არ არის.

ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ 3.3.14

ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲒᲠᲐᲕᲘᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ



მათ შორის საქართველოსთვისაც. ცნობილია, რომ საექსპორტო სექტორის ბუმის მსგავსად, ქვეყანაში დიდი რაოდენობით უცხოური კაპიტალის შემოდინებამაც შესაძლოა წარმოშვას ე. წ. „ჰოლანდიური დაავადება“ (ჩანართი N3), ანუ წონასწორობის დარღვევა ქვეყნის შიდა სამომხმარებლო და სავალუტო ბაზრებზე. საქართველოში უცხოური ინვესტიციების ბუმი, რომელიც 2002 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო, საანგარიშო პერიოდში კვლავაც გრძელდებოდა და ლარზე მოთხოვნის ზრდას განაპირობებდა (რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი). თუმცა, ეროვნული ვალუტის გამყარების ტენდენციამ სერიოზულად შეაფერხა სამომხმარებლო ბაზარზე ფასების ზრდა.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა საგადასახდელო ბალანსის მხარდასაჭერად საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით გათვალისწინებული სახსრების მიღება და რეფორმების ხელშემწყობი პროგრამების დაფინანსება. ამასთან, გრაფიკის მიხედვით ხორციელდებოდა აღებული ვალდებულებების დაფარვა.

ჩანართი 3. „ჰოლანდიური დაავადება“

XX საუკუნის 60-იან წლებში ნიდერლანდების მიერ ჩრდილოეთის ზღვაში ბუნებრივი აირის საბადოს აღმოჩენამ ქვეყნის საექსპორტო შემოსავლები არნახულად გაზარდა, მაგრამ, ამავე დროს, გულდენის გამყარება და ტრადიციული ექსპორტის კონკურენტუნარიანობის დაცემა გამოიწვია. მას შემდეგ „ჰოლანდიური დაავადების“ სახელით ცნობილი ეს ფენომენი არაერთი ქვეყნისათვის პრობლემა გახდა.

ქვეყნის სიმდიდრის ზრდის ამ საპირისპირო პარადოქსულ შედეგს ახსნა 1982 წელს მოეძებნა მ. კორდენისა და პ. ნეარვის მიერ, რომლებმაც ჩამოაყალიბეს და აღწერეს „ჰოლანდიური დაავადების“ კლასიკური მოდელი. „დაავადების“ არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბუნებრივი რესურსების სექტორის ბუმი არღვევს წონასწორობას ამ სექტორს, ტრადიციულ საექსპორტო სექტორსა (Tradable Sector) და არასაექსპორტო სექტორს (Non-tradable Sector - საცალო ვაჭრობა, რესტორნები, სასტუმროები, მშენებლობა) შორის. თავდაპირველად, ბუნებრივი რესურსების ექსპორტის შედეგად იზრდება ქვეყნის შემოსავლები უცხოური ვალუტით. თუ ეს უკანასკნელი იმპორტის ზრდას ხმარდება, ასეთ შემთხვევაში უცხოური კაპიტალის შემოსვლა პირდაპირ არ აისახება ფულის მიწოდებასა და ადგილობრივ საქონელზე მოთხოვნის ზრდაზე. თუმცა, იმპორტის შეუზღუდავი ზრდაც გაუმართლებელია. ამიტომაც ბუნებრივი რესურსების ექსპორტიდან მიღებული მზარდი შემოსავლები კონვერტირდება შიდა სავალუტო ბაზარზე ეროვნული ვალუტით. თუ ქვეყანაში ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსი ფიქსირებულია, მაშინ უცხოური ვალუტის ეროვნულ ვალუტაში კონვერტირება მოითხოვს ფულის მიწოდების ზრდას, რაც იწვევს ადგილობრივი ფასების აწევას, ხოლო, თუ გაცვლის კურსი ფიქსირებული არაა, მაშინ შიდა სავალუტო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის წონასწორობის დარღვევა გამოიწვევს ადგილობრივი ვალუტის გამყარებას. ორივე შემთხვევაში იზრდება ეროვნული ვალუტის რეალური გაცვლის კურსი, რაც იმას ნიშნავს, რომ უცხოური ვალუტის ერთეულით ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე გაცილებით ნაკლებ საქონელსა და მომსახურებას შევიძენთ, ვიდრე ეს ადრე იყო შესაძლებელი. ასეთი ვითარება ამცირებს ტრადიციული ექსპორტის მომგებიანობას, რადგან შიდა ფასების ზრდის გამო გაძვირებული საექსპორტო პროდუქცია ნაკლებად კონკურენტუნარიანი ხდება საერთაშორისო ბაზარზე, რასაც შედეგად მოსდევს წარმოების მკვეთრი დაცემის ტენდენცია ტრადიციულ საექსპორტო სექტორში. თუმცა, პროცესი ამით არ მთავრდება: აქ თავს ე. წ. „რესურსების გადანაცვლების ეფექტი“ (Resource movement effect) იჩენს და კაპიტალი და სამუშაო ძალა არასაექსპორტო სექტორში იწყებს გადასვლას. ამ პროცესის ნორმალურად განვითარება კი აუცილებლად მოითხოვს აღნიშნული სექტორის ინფრასტრუქტურის განახლებასა და დახვეწას, ინვესტიციების განხორციელებას მუშაკთა გადამზადების მიზნით და ა. შ. თუ ეს ფინანსური პრობლემების ან/და მმართველობითი ინფრასტრუქტურის მოუქნელობის გამო ვერ ხერხდება, მაშინ გარდუვალია უმუშევრობა და მასთან დაკავშირებული სოციალური პრობლემები.

ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ 3.4.1

ᲜᲔᲦᲚᲘ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲐ (ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ)



ინფორმაციის წყარო: ბლუმბერგი

ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ 3.4.2

ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ

ინფორმაციის წყარო: ბლუმბერგი

ᲪᲮᲠᲘᲚᲘ 3.4.1

2006 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲠᲓᲐ 2005 ᲬᲚᲘᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ (ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ)

	ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲠᲓᲐ	ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲠᲓᲐ*
მთლიანი შემოსავლები და გრანტები	44.7	32.5
მთლიანი შემოსავლები	43.0	31.0
საგადასახადო შემოსავლები	43.4	31.3
მოგების**	54.5	41.5
ღგ	35.0	23.6
აქციზი	17.5	7.6
საბაჟო	7.3	-1.7
სოციალური	17.3	7.4
არასაგადასახადო შემოსავალი	72.1	57.6
კაპიტალური შემოსავალი	19.8	9.7
გრანტები	86.3	70.6

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

* რეალური ზრდა დეფლირებულია 2006 წლის ცხრა თვის საშუალო წლიური ინფლაციის (სფი) მიხედვით.
** მოგების გადასახადის მონაცემების წყარო არის 2005-2006 წლების იანვარ-სექტემბრის პერიოდის ნაერთი ბიუჯეტი.

3.4. ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ

ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲐ

2006 წლის IV კვარტალში მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების დინამიკა III კვარტალთან შედარებით სტაბილური იყო. თუ მთელი III კვარტალის განმავლობაში სახეზე იყო ნავთობის ფასების მკვეთრი შემცირება და ნავთობზე ფასები 22 პროცენტით დაეცა, IV კვარტალში ისინი დამატებით კიდევ 3 პროცენტით შემცირდა. საანგარიშო პერიოდში საქართველოს ენერგომატარებლების ბაზარზე შესაბამისი ასახვა ჰპოვა ნავთობის ფასების III კვარტალში დაფიქსირებულმა კლებამ – კერძოდ, ადგილი ჰქონდა ბენზინის, საშუალოდ, 13-პროცენტიან გაიაფებას.

2006 წლის IV კვარტალში, ფაქტობრივად, არ შეცვლილა შაქრის ფასი მსოფლიო ბაზარზე, განსხვავებით წლის განმავლობაში ფასების კლების დაფიქსირებული ტენდენციისაგან.

ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲘ

2006 წლის ოპერატიული ინფორმაციით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა და გრანტებმა შეადგინა 3 773.2 მლნ ლარი, ხოლო საკუთარმა შემოსავლებმა – 3 579.2 მლნ ლარი. წლიური გეგმა, შესაბაბამისად, 104.8 და 104.7 პროცენტით შესრულდა. ამავე პერიოდში საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 2 633.1 მლნ ლარი. 2005 წელთან შედარებით, საგადასახადო შემოსავლების ნომინალური ზრდა 43.4 პროცენტი, ხოლო რეალური (ინფლაციის გათვალისწინებით) – 31.3 პროცენტია. საგადასახადო შემოსავლების მიმდინარე წლის გეგმა 103.8 პროცენტით შესრულდა. გადასახადების სახით მიღებული შემოსავლების წილმა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და გრანტებში 2006 წელს 69.8 პროცენტი შეადგინა, მაშინ, როცა 2005 წელს 70.4 პროცენტი იყო. საანალიზო პერიოდში გაიზარდა არასაგადასახადო შემოსავლებისა და გრანტების წილი სახელმწიფო ბიუჯეტში, მაგრამ შემცირდა კაპიტალური შემოსავლების წილი.

2006 წელს, საბაჟო გადასახადის მიხედვით, გეგმა შესრულდა 103.8 პროცენტით. საბაჟო გადასახადით მიღებული შემოსავლების წლიური ზრდის ტემპმა 7.3 პროცენტი შეადგინა, მაშინ, როცა 2005 წელს საბაჟო შემოსავლები 38.4 პროცენტით გაიზარდა. 2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „საბაჟო გადასახადის შესახებ“, რომელიც პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა. ამ კანონის თანახმად, საბაჟო გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი იმპორტზე 12 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო მთელ რიგ

ბრაფიკი 3.4.3

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლები სახეების მიხედვით
2006 წ.



ბრაფიკი 3.4.4

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები წყაროების მიხედვით



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ცხრილი 3.4.2

საქართველოში თურქეთიდან იმპორტის ამსახველი მონაცემები

	2003 წ.	2004 წ.	2005 წ.	2006 წ. I-IX თვე
თურქეთის სტატისტიკის სახელმწიფო ინსტიტუტი (ათასი აშშ დოლარი)	155068	198738	271781	276386
საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი (ათასი აშშ დოლარი)	102153	192176	268860	326905
გალაფარვის კოეფიციენტი	1.50	1.00	1.00	0.85

საქონელზე საერთოდ გაუქმდა. 2007 წლის პირველი იანვრიდან, ახალი საბაჟო კოდექსის ამოქმედებასთან ერთად, აგრეთვე გაუქმდა ზემოთ აღნიშნული კანონი და საბაჟო გადასახადთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირდა საგადასახადო კოდექსის XII (1) კარით გათვალისწინებული ნორმებით.

გადასახადების აღმინისტრირების გაუმჯობესებას თვალსაჩინოდ ასახავს საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების შემოსავლების ზრდაც. 2006 წელს, 2005 წელთან შედარებით, საგადასახადო დეპარტამენტის მიერ მიბილიზებულ იქნა 463.8 მლნ ლარით მეტი, ხოლო საბაჟო დეპარტამენტის მიერ – 333.3 მლნ ლარით მეტი შემოსავალი. საგადასახადო დეპარტამენტმა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა 104.4 პროცენტით შეასრულა, ხოლო საბაჟო დეპარტამენტმა – 103.2 პროცენტით. ამასთან, იმპორტის დაბეგვრის აღმინისტრირების გაუმჯობესებაზე მიუთითებს 2004 წლიდან დღემდე პერიოდში საქართველოში თურქეთიდან იმპორტის მონაცემების სარკისებური ანალიზი. კერძოდ, საქართველოსა და თურქეთის სტატისტიკური სამსახურების მონაცემების გადაფარვის კოეფიციენტმა 2006 წლის პირველი იანვრიდან ცხრა თვეში 0.85 შეადგინა.

2006 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა შემოსავლებსა და გრანტებს 48.2 მლნ ლარით გადააჭარბა, რაც ბიუჯეტის დეფიციტის დაგეგმილ ოდენობაზე – 277.2 მლნ ლარზე, ძირითადად გეგმურზე მეტი შემოსავლების მიღებისა (171.8 მლნ ლარით) და ხარჯების შემცირების გამო, მნიშვნელოვნად ნაკლები აღმოჩნდა. გარდა ამისა, ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული ნაშთები იმ მოცულობით არ გაიხარჯა, როგორც გათვალისწინებული იყო, არამედ პირიქით – 105 მლნ ლარით გაიზარდა. 2006 წლის პირველ ნახევარში დაფარულ იქნა მიმოქცევაში დარჩენილი სახაზინო ვალდებულებებიც (20.3 მლნ ლარი). წარმოქმნილი დეფიციტი დაფინანსდა საგარეო წყაროებიდან შეღავათიანი კრედიტებით.

2006 წელს ბიუჯეტში უცხოური ვალუტის სახით მიღებული ფინანსური სახსრები, დაახლოებით, 32 მლნ აშშ დოლარით (57 მლნ ლარი) აღემატებოდა მთავრობის მიერ უცხოური ვალუტით გაწეულ ხარჯებს. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისი ოდენობით გაიზარდა ფულის მასა ბრუნვაში. მეორე მხრივ, საქართველოს ეროვნულ ბანკში მთავრობის ანგარიშებზე განთავსებული დეპოზიტების მოცულობაც გაიზარდა – საშუალოდ, 111 მლნ ლარით, ანუ ეს თანხა ამოღებულ იქნა ბრუნვიდან და აღემატება 57 მლნ ლარს. აქედან გამომდინარე, წინა პერიოდებისაგან განსხვავებით, 2006 წლის IV კვარტალში გატარებული ფისკალური პოლიტიკა ფულის მასის ზრდისა და ინფლაციის დაჩქარების მიზეზი არ ყოფილა.

ცხრილი 3.4.3

2006 წლის III კვარტალში ერთ დასაქმებულზე წარმოებული დამატებული ღირებულებისა და საშუალო თვიური ხელფასის ზრდის ტემპი 2005 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით

	დამატებული ღირებულების რეალური ზრდა (პროცენტი)	ხელფასის ნომინალური ზრდა (პროცენტი)
სოფლის მეურნეობა	87.9	129.4
მრეწველობა	103.3	188.9
მშენებლობა	98.9	150.9
ვაჭრობა	176.2	128.7
სასტუმროები და რესტორნები	107.8	59.3
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	105.3	110.6
საფინანსო შუამავლობა	153.7	175.9
ოპერაციები უძრავი ქონებით	87.5	105.7
სახელმწიფო მართვა, თავდაცვა	89.0	117.4
განათლება	133.8	137.1
ჯანდაცვა	128.9	152.2
მომსახურების სხვა სახეები	89.3	98.3
სულ	112.4	121.1

წყარო: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

შრომის პროდუქტიულობა, ხელფასები

2006 წლის III კვარტალში, 2005 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ერთ დასაქმებულზე წარმოებული დამატებული ღირებულება რეალურად 12.4 პროცენტით გაიზარდა. კერძოდ, ზრდის მაღალი ტემპები დაფიქსირდა ვაჭრობის, საფინანსო შუამავლობის, ჯანდაცვის, განათლების სფეროში, სადაც ზრდის მაჩვენებელი ორნიშნა ციფრს მნიშვნელოვნად აღემატებოდა და ამ სექტორებში მაღალ ეკონომიკურ ზრდას შეუწყო ხელი. მრეწველობის, სასტუმროებისა და რესტორნების, აგრეთვე ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში ზრდის ტემპი უფრო მოკრძალებული იყო. სოფლის მეურნეობაში, მშენებლობასა და სახელმწიფო მმართველობაში შრომის პროდუქტიულობის შემცირება აღინიშნა.

2006 წლის III კვარტალში აღინიშნა საშუალო ნომინალური ხელფასის მკვეთრი ზრდა 2005 წლის III კვარტალთან შედარებით – 21.1 პროცენტით, მაშინ, როცა II კვარტალთან შედარებით ხელფასის მატებამ 1 პროცენტი შეადგინა. უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ხელფასები გაიზარდა როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში. 2006 წლის III კვარტალში საშუალო თვიურმა ხელფასმა (გადასახადების გადახდის შემდეგ) შეადგინა 188.9 ლარი[1]. ხელფასის რეალური ზრდის წლიური ტემპი 10.9 პროცენტია.

2006 წლის III კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საშუალო ხელფასის ნომინალური ზრდის ტემპი 8.7 პროცენტით აღემატებოდა ერთ დასაქმებულზე წარმოებული მთლიანი დამატებული ღირებულების რეალურ ზრდას. გარდა ამისა, თუ ისეთ არასაბაზრო სფეროს გამოვაკლებთ, როგორიცაა სახელმწიფო მართვა, ეს სხვაობა კიდევ უფრო, 11 პროცენტამდე გაიზრდება, რაც ინფლაციის განვითარების რისკზე მიუთითებს. რეალური ეკონომიკის ისეთ სექტორებში, როგორიცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და მშენებლობა, ხელფასების ზრდა მნიშვნელოვნად აღემატება შრომის პროდუქტიულობის გაუმჯობესებას. III კვარტალში სახელმწიფო სექტორში საშუალო ხელფასის ზრდის წლიური ტემპი 20.2 პროცენტი, ხოლო კერძო სექტორში 21.4 პროცენტი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ გადამმუშავებელი მრეწველობის სექტორში დასაქმების შემცირების მიუხედავად, გაიზარდა წარმოებული დამატებული ღირებულება, რაც შრომის პროდუქტიულობის მნიშვნელოვან ზრდაზე მიუთითებს.

[1] გამოთვლები ეყრდნობა შინამეურნეობების კვლევიდან მიღებულ მონაცემებს, თუმცა შრომის მიმდინარე სტატისტიკის თანახმად, საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2006 წლის III კვარტალში 276.4 ლარს შეადგენდა.

უმუშევრობა

2006 წლის III კვარტალში შრომის ბაზარზე სიტუაცია გაუარესდა, რაც უმუშევრობის დონის ზრდაში აისახა. მართლაც, უმუშევრობის დონემ, 2006 წლის III კვარტალში შეადგინა 13.7 პროცენტი, მაშინ, როცა II კვარტალში 12.9 პროცენტი, ხოლო 2005 წლის III კვარტალში 13.3 პროცენტი იყო. მოსახლეობის დაბერებისა და მოქალაქეთა გარკვეული ნაწილის საპენსიო ასაკის გამო სამუშაო ძალიდან გასვლის მასშტაბის გაფართოებასთან დაკავშირებით საქართველოში შეიმჩნევა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემცირების ტენდენცია. კერძოდ, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 2005 წლის III კვარტალთან შედარებით 51 ათასი კაცით შემცირდა[1], ვინაიდან დასაქმებულთა რიცხვმა 53.4 ათასი კაცით, მათ შორის, თვითდასაქმებულთა რაოდენობამ 40.5 ათასით მოიკლო. შესაბამისად, 64.1-დან 63 პროცენტამდე შემცირდა სამუშაო ძალის მონაწილეობის კოეფიციენტი, თუმცა ეს მაჩვენებელი მაღალია განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში ბევრ მოქალაქეს აიძულებს, უფრო აქტიურად ეძებოს სამუშაო. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში[2] დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა მშენებლობის, განათლების, კომუნალური და სხვა სახის სოციალური მომსახურების, შინამეურნეობებისა და შინამომსახურების სფეროებში. სამაგიეროდ, დასაქმების შემცირება აღინიშნა სხვა სექტორებში, განსაკუთრებით ეს ეხება მრეწველობის, ვაჭრობის, რესტორნებისა და სასტუმროების, მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევის, სახელმწიფო მმართველობისა და ჯანდაცვის სფეროებს. ამჟამად დასაქმებაში კვლავაც ჭარბობს თვითდასაქმებულთა რაოდენობა (დაახლოებით 66 პროცენტი), რაც, პირველ რიგში, სოფლის მეურნეობისათვის არის დამახასიათებელი.

ცხრილი 3.4.3

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა და უმუშევრობა (ათასი კაცი) შსო-ის (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის) მონაცემთა მიხედვით

	15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა, სულ	ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა	სამუშაო ძალის მონაწილეობის კოეფიციენტი (%)	უმუშევრობა, სულ	უმუშევრობის დონე (%)
2002 წ.	3240	2104	65	265	12.6
2003 წ.	3105	2051	66.1	236	11.5
2004 წ.	3151	2041	64.8	258	12.6
2005 წ.	3162	2024	64	279	13.8
I კვ.	3178	1999	62.9	294	14.7
II კვ.	3149	2036	64.7	272	13.4
III კვ.	3132	2012	64.1	270	13.3
IV კვ.	3191	2049	64.1	284	13.8
2006 წ.					
I კვ.	3170	1925	60.7	282	14.6
II კვ.	3139	1952	62.2	252.4	12.9
III კვ.	3113	1961	63	269	13.7

წყარო: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

3.5. გამოშვება და მოთხოვნა

2006 წლის III კვარტალის მონაცემებით, მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური ზრდა ეგზოგენური ფაქტორების მნიშვნელოვანი ნეგატიური ზემოქმედების მიუხედავად, 2005 წლის III კვარტალთან შედარებით, 3033 მლნ ლარიდან 3649 მლნ ლარამდე გაიზარდა.

[1] გაანგარიშებულია შსო-ს (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის) მკაცრი კრიტერიუმის საფუძველზე.
[2] იგულისხმება 2006 წლის III კვარტალის მონაცემების შედარება 2005 წლის III კვარტალის მონაცემებთან.

ბრაფიკი 3.5.1

სოფლის მეურნეობაში წარმოებული დამატებული ღირებულების ზრდის ტემპი



ბრაფიკი 3.5.2

მშპ ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით მიმდინარე საბაზისო ფასებში



ბრაფიკი 3.5.3

მშპ-ის წლიური ზრდის ტემპი კვარტალების მიხედვით (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სეზონურად შესწორებული)



გამოშვება

2006 წლის დასაწყისიდან ცხრა თვეში, 2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მშპ-ის რეალური წლიური ზრდის ტემპმა 8.5 პროცენტი შეადგინა. ამ მაჩვენებელმა კვარტალების მიხედვით, შესაბამისად, 8.4, 8.0 და 9.1 პროცენტი შეადგინა.

ეკონომიკის ზრდის დარგობრივი განხილვა გვიჩვენებს, რომ III კვარტალში ეკონომიკური საქმიანობის სახეებს შორის, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, არა ერთ დარგში ზრდის დადებითი მაჩვენებელი დაფიქსირდა. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ვაჭრობა (43.5 პროცენტი), საფინანსო შუამავლობა (52.6 პროცენტი) და გადამმუშავებელი მრეწველობა (23.1 პროცენტი). არასახარბიელო მეტეოროლოგიური პირობების შედეგად სოფლის მეურნეობაში წარმოებული დამატებული ღირებულების რეალურმა ოდენობამ, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, III კვარტალში 18.4 პროცენტით მოიკლო. სამი კვარტალის ჯამური მონაცემის მიხედვით, კლებამ 14.1 პროცენტი შეადგინა, რაც საგრძნობლად აისახა სასოფლო-სამეურნეო საქონლის დეფიციტსა და შესაბამისად ფასების მატებაზე. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების აწევა ყველა სხვა საქონლის გაძვირებაზე თვალსაჩინოა და ქმნის ინფლაციის რეალურ დონესთან შედარებით მის გადაჭარბებულ განცდას.

ტრადიციულად, სოფლის მეურნეობაში წარმოებული დამატებული ღირებულების მატებისა და კლების პერიოდები ერთმანეთს ენაცვლება. ამ კანონზომიერების მიხედვით, 2007 წელს სოფლის მეურნეობაში წარმოებული დამატებული ღირებულების მნიშვნელოვან მატებას უნდა ველოდოთ. თუმცა, აღნიშნული მოვლენა კლიმატურ პირობებზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული.

შინამეურნეობის მოხმარება

2006 წლის III კვარტალში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, შინამეურნეობების მოხმარება, ნომინალური გამოხატულებით, 40.2 პროცენტით იყო გაზრდილი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მშპ-ის წარმოებისა და დანახარჯების მეთოდებით გაანგარიშებულ მოცულობებს შორის სტატისტიკური ცდომილების არსებობა ზუსტ სიდიდეებზე დამაჯერებელ საუბარს ართულებს. 2006 წლის III კვარტალში 14.2-პროცენტიანი სტატისტიკური ცდომილება დაფიქსირდა, რაც წარმოების მეთოდით გაანგარიშებული მშპ-ის მოცულობის მეტობით გამოიხატა. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში წარმოების მეთოდით გაანგარიშებული მშპ მიიჩნევა

ცხრილი 3.5.1

მშპ-ის რეალური წლიური ზრდის ტემპი (პროცენტი) და ზეგავლენა ზრდაზე (პროცენტული პუნქტი) ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

	2005*		I/2006**		II/2006**		III/2006**	
	ზრდა	ზეგავ-ლენა	ზრდა	ზეგავ-ლენა	ზრდა	ზეგავ-ლენა	ზრდა	ზეგავ-ლენა
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	12.0%	2.0%	-8.8%	-1.3%	-14.4%	-2.1%	-18.4%	-2.7%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	-7.8%	-0.1%	-7.6%	-0.1%	49.4%	0.4%	35.2%	0.3%
გადამმუშავებელი მრეწველობა	14.1%	1.2%	19.8%	1.7%	32.6%	2.8%	23.1%	2.0%
ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	5.1%	0.2%	-3.8%	-0.1%	6.5%	0.2%	19.1%	0.5%
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	12.4%	0.5%	2.5%	0.1%	-3.2%	-0.1%	9.0%	0.3%
მშენებლობა	14.1%	1.1%	10.6%	0.9%	-2.2%	-0.2%	12.2%	1.0%
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი სარგებლობის საგნების რემონტი	9.4%	1.2%	16.0%	1.9%	17.5%	2.1%	43.5%	5.2%
სასტუმროები და რესტორნები	17.1%	0.5%	8.3%	0.2%	9.8%	0.3%	-3.5%	-0.1%
ტრანსპორტი, დამხმარე და დამატებითი საგრანსპორტო საქმიანობა	3.9%	0.4%	24.0%	2.0%	12.3%	1.0%	11.2%	0.9%
კავშირგაბმულობა და ფოსტა	28.7%	1.1%	18.5%	0.7%	3.4%	0.1%	6.1%	0.2%
საფინანსო შუამავლობა	52.8%	0.7%	46.5%	0.9%	37.9%	0.8%	52.6%	1.0%
ოპერაციები უძრავი ქონებით, ივარა და კომერციული მომსახურება	10.6%	0.3%	35.0%	0.9%	6.9%	0.2%	1.6%	0.0%
საკუთარი საცხოვრებლის გამოყენების პირობითი რენტა	0.9%	0.0%	-1.3%	0.0%	-1.2%	0.0%	-0.8%	0.0%
სახელმწიფო მმართველობა, თავდაცვა	-6.3%	-0.4%	-6.8%	-0.4%	-2.8%	-0.2%	-19.2%	-1.2%
განათლება	13.8%	0.5%	9.6%	0.3%	13.5%	0.4%	2.5%	0.1%
ჯანდაცვა და სოცმომსახურება	7.6%	0.3%	1.2%	0.0%	28.0%	1.0%	21.0%	0.7%
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	18.3%	0.5%	14.6%	0.5%	23.2%	0.7%	0.2%	0.0%
შინამეურნეობებში დაქირავებული მომსახურება	28.2%	0.0%	29.3%	0.0%	15.5%	0.0%	6.4%	0.0%
საქმიან აქტივობაში ფინანსური შუამავლობის მომსახურების გამოყენების არაპირდაპირი შეფასება	57.5%	-0.4%	2.8%	0.0%	-17.8%	0.2%	5.0%	-0.1%
მშპ საბაზისო ფასებით	10.4%	9.5%	8.5%	7.5%	8.7%	7.7%	9.1%	8.1%
(+) გადასახადები პროდუქციაზე	1.2%	0.1%	4.1%	0.5%	3.8%	0.5%	8.7%	1.0%
(-) სუბსიდიები	0.5%	0.0%	-1.7%	0.0%	-6.6%	0.0%	-17.6%	0.1%
მშპ საბაზრო ფასებით	9.6%	9.6%	8.4%	8.4%	8.0%	8.0%	9.1%	9.1%

*დაზუსტებული შეფასებები.
**დაზუსტებული შეფასებები გამოქვეყნდება 2007 წლის ნოემბრის ბოლოს.

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სტატისტიკის დეპარტამენტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის გათვლები.

ოფიციალურ მაჩვენებლად და, შესაბამისად, უფრო სარწმუნოა, შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯები შესაძლოა რეალურად გაცილებით მეტი იყოს.

სახელმწიფო მოხმარება

2006 წლის III კვარტალში სახელმწიფო მოხმარების ამსახველი მაჩვენებელი, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 12.1 პროცენტით შემცირდა. დაახლოებით ასეთსავე სურათს იძლევა (11.5 პროცენტი) სახელმწიფო სექტორის მიერ ცხრა თვის განმავლობაში გაწეული ხარჯები. სახელმწიფო სექტორის ხარჯების ძირითადი ნაწილი შიდა მოთხოვნის ფორმირებაზე ახდენს ზეგავლენას. თუმცა აღსანიშნავია, რომ გაწეული ხარჯების ნაწილი კონვერტაციის შემდეგ იმპორტირებულ საქონელს ხმარდება. წლის დასაწყისიდან ცხრა თვეში 151.5 მლნ აშშ დოლარის კონვერტაცია მოხდა, რაც 2005 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 67 პროცენტითაა გაზრდილი და 8 პროცენტით აღემატება 2005 წლის მანძილზე განხორციელებულ კონვერტაციებს. კონვერტაციებმა შეადგინა მთელი სახელმწიფო ხარჯების მეხუთედი. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფო ხარჯებს ინფლაციაზე ნეგატიური ზემოქმედება არ მოუხდენია.

ინვესტიციები

შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯების მსგავსად, 2006 წლის III კვარტალში ძირითად კაპიტალში განხორციელებულმა ინვესტიციებმა 1006.6 მლნ ლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი, მართალია წინა კვარტალის მონაცემზე 21.3 პროცენტით მაღალია, მაგრამ 2005 წლის III კვარტალთან შედარებით, ნომინალური გამოხატულებით მხოლოდ 5.2 პროცენტით გაიზარდა, რაც რეალურ გამოხატულებაში კლების ტოლფასია. თუმცა, აღნიშნული ფაქტორი ნაკლებად საგანგაშოა და იოლად აიხსნება იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 2005 წლის შედარებით მაღალი მაჩვენებელი მსხვილი ენერგოპროექტების ფარგლებში განხორციელებული ინვესტიციების შედეგი იყო.

ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ 3.5.4

ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ (ᲛᲨᲞ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ)



ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ 3.5.5

ᲨᲘᲜᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲞ-ᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲐᲜᲑᲐᲠᲘᲫᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ, ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ



ჩანართი 4. ინვესტიციების შემოდინება საქართველოში

2006 წელი საქართველოსთვის, სავალუტო ნაკადების შემოდინების თვალსაზრისით, საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. წლის განმავლობაში ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ, დაახლოებით, 1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (IV კვარტალის ინფორმაცია ამ ეტაპზე ბოლომდე დაზუსტებული არ არის). აღნიშნული მაჩვენებლის წინა წლების შესაბამის ციფრებთან შედარება გვიჩვენებს, რომ 2006 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2005 წელთან შედარებით (539 მლნ აშშ დოლარი), დაახლოებით, 2-ჯერ გაიზარდა.

ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ 1

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲐ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ[1] (ᲛᲚᲜ ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ)



[1] 2006 წლის IV კვარტალის მონაცემი არის მხოლოდ საპროგნოზო მაჩვენებელი.

ზემოთ მოყვანილი გრაფიკიდან ჩანს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ძირითადად, ზრდის ტემპით ხასიათდება. ამ ტენდენციიდან გადახვევა დაფიქსირდა 2005 წლის I-II-III კვარტალების განმავლობაში. ინვესტიციების შემცირება ამ პერიოდში, უმთავრესად, გამოწვეულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დასრულებასთან დაკავშირებით ბრიტანული კომპანია BP-ის ინვესტიციების შემცირებით. 2005 წლის ბოლოდან კი უკვე სრულად ამოქმედდა ქვეყანაში საპრივატიზაციო პროგრამა და შედეგად უცხოური ინვესტიციების ნაკადი კვლავაც მზარდი ტემპით ხასიათდება.

2006 წელს ქვეყნის ყველაზე მსხვილი ინვესტორი ბრიტანული კომპანია BP-ი იყო, რომელმაც წლის მანძილზე 200 მლნ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია შემოიტანა. ინვესტიციების მთლიან მოცულობაში დიდი იყო სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შედეგად მოზიდული ინვესტიციების წილი. 2006 წლის მხოლოდ სამ კვარტალში პრივატიზაციის შედეგად ქვეყანაში 220 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია შემოვიდა. მსხვილი ინვესტიციები განხორციელდა მშენებლობის სექტორში, აეროპორტებისა და სასტუმროების მშენებლობაში 2006 წელს 100 მლნ აშშ დოლარზე მეტი ჩაიდო. 2006 წელი ინვესტიციების შემოდინების კუთხით მნიშვნელოვანი იყო საბანკო სექტორისთვისაც. საქართველოს საბანკო ბაზარზე რამდენიმე მსხვილი უცხოური საბანკო ჯგუფი შემოვიდა, რის შედეგადაც ინვესტიციების მოცულობა 150 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

წინასწარი საპროგნოზო მონაცემების მიხედვით, 2007 წელს ინვესტიციების კიდევ უფრო დიდი ოდენობით ზრდას უნდა ველოდოთ. ბრიტანული კომპანია BP-ი საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე წელს კიდევ 200 მლნ აშშ დოლარის ინვესტირებას გეგმავს. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შედეგად 2007 წელს გათვალისწინებულია, დაახლოებით, 160 მლნ აშშ დოლარის ოდენობით უცხოური კაპიტალის მოზიდვა. სასტუმროებისა და აეროპორტების მშენებლობაში 2007 წელს, დაახლოებით, 200 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს, ხოლო, რაც შეეხება საბანკო სექტორს, მოსალოდნელი სავალუტო ნაკადების მოცულობა 500 მლნ აშშ დოლარს აღემატება. მთლიანობაში, 2007 წელს საქართველოს ეკონომიკაში, სავარაუდოა, დაახლოებით, 1.500 მლნ აშშ დოლარის პირადაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

ინფლაციის პროგნოზი 4

ბრაფიკი 4.1
ინფლაციის პროგნოზი
2005-2006 წწ.



ბრაფიკი 4.2
ნავთობის ფასები მსოფლიო ბაზარზე
2007 წ.



საქართველოს ეროვნული ბანკის პროგნოზით, 2007 წელს საქართველოში ეკონომიკური ზრდის ტემპი გაძლიერდება და 9-10 პროცენტის ფარგლებში იქნება. სტაბილური ზრდა არის მოსალოდნელი ფინანსური შუამავლობის, სოფლის მეურნეობის, რესტორნებისა და სასტუმროების, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის, მშენებლობისა და სამთომოპოვებით სექტორებში. 2007 წელს ეკონომიკის ზრდაზე ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას სოფლის მეურნეობის სექტორი მოახდენს, რომელიც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანწილად, დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე. ზემოთ მოყვანილი საპროგნოზო მაჩვენებელი გულისხმობს „ნორმალურ“ კლიმატურ პირობებს და არ მოიცავს, „ფრინველის გრიპის“ გამო, ფრინველისა და კვერცხის წარმოების შესაძლო შეზღუდვას. ასევე, არ ითვალისწინებს რუსეთთან ურთიერთობის კიდევ უფრო გართულებას ან პირიქით – კონფლიქტის სრულად ამოწურვას. ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს სერიოზული ზემოქმედება შეუძლია საპროგნოზო მშპ-ის მაჩვენებელზე.

2007 წლის პირველ ნახევარში ფასების დინამიკაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ნავთობპროდუქტების ფასები, მოსალოდნელია, რომ ყოველივე ამან ფასებზე შემცირების მიმართულებით იმოქმედოს. 2007 წლის I კვარტალში მსოფლიო ბაზარზე სავარაუდოა ნავთობის ფასების სერიოზული კლება 2006 წელთან შედარებით, თუმცა 2007 წლის მაისიდან მოსალოდნელია ამ პარამეტრის ზრდა. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა აზრით, ნავთობის ფასი 2007 წლის განმავლობაში ბევრად ნაკლები იქნება 2006 წელს დაფიქსირებულ რეკორდულ მაჩვენებლებზე.

2007 წელს, განსაკუთრებით წლის შუა პერიოდიდან, საბაზო ეფექტის გათვალისწინებით ფასების დინამიკაზე ასევე შემცირების მიმართულებით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასები მოახდენს. წინასწარი მონაცემებით, კლიმატური პირობები ხელსაყრელია. სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების ზრდის მიმართულებით გავლენა შესაძლოა რუსეთის მხრიდან ქართულ პროდუქციაზე ემბარგოს მოხსნამ იქონიოს, თუმცა აღნიშნულ ფაქტორს ინფლაციაზე ერთჯერადი გავლენა ექნება.

საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკის განვითარების დინამიკა იმ პროგნოზის გაკეთების საშუალებას გვაძლევს, რომ, ისევე როგორც 2005 წელს, იმპორტული ინფლაციის ზრდა 8-9 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი.

ზემოხსენებული დაშვებების საფუძველზე და აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლის კურსის სტაბილურობის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 2007 წლის ივნისის ბოლოსათვის წლიური ინფლაცია დაფიქსირდება 6.46-სა და 7.19 პროცენტს შორის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროგნოზის საიმედოობა დამოკიდებულია როგორც დაშვებების სიზუსტეზე, ასევე გაუთვალისწინებელ, არაპროგნოზირებად ფაქტორებზე. შესაბამისად არის წარმოდგენილი საპროგნოზო ინფლაციის გრაფიკი, რომელსაც ე. წ. „მარაოს“ ფორმა აქვს და გვიჩვენებს ინფლაციის პროგნოზს, განაწილებულს ალბათობის მიხედვით.

ჩანართი 5. კომერციული ბანკების მენეჯერების გამოკითხვის შედეგები

საქართველოს კომერციული ბანკების მენეჯერთა ყოველთვიური გამოკითხვა საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ საქართველოში საფინანსო ბაზრის ძირითადი აგენტების, კომერციული ბანკების მოლოდინი ეკონომიკის მომავალ განვითარებასთან, ლარის კურსის მომავალ ცვლილებებთან, აგრეთვე ინფლაციურ პროცესებთან დაკავშირებით.

სამთვიან პერსპექტივაში კომერციული ბანკები ეკონომიკის საერთო მდგომარეობის შეცვლას არ პროგნოზირებენ. 74 პროცენტს მიაჩნია, რომ ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, 14 პროცენტის აზრით, მდგომარეობა გაუმჯობესდება, ხოლო 1 პროცენტს გაუჭირდა პასუხის გაცემა. რაც შეეხება ერთწლიან პერსპექტივას, ამ შემთხვევაში ბანკების მენეჯერთა უმრავლესობა, დაახლოებით 64 პროცენტი, ეკონომიკის საერთო სურათის გაუმჯობესებას ელის, 18 პროცენტს მიაჩნია, რომ ცვლილებები ერთი წლის შემდეგაც არ არის მოსალოდნელი. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის საერთო მდგომარეობის გაუარესებას არც მოკლევადიან და არც გრძელვადიან პერსპექტივაში ბანკები არ ვარაუდობენ (გრაფიკი N1).

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მომავალი წლის მანძილზე ეკონომიკური ზრდა, ძირითადად, მოსალოდნელია მშენებლობის, ვაჭრობის, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტისა და სოფლის

გრაფიკი 1

საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობა



მეურნეობის სექტორებში. ამ მიმართულებებით ზრდას გამოკითხულთა, შესაბამისად, 88.2, 72.5, 72.5, 56.9 და 52.9 პროცენტი აფიქსირებს. რაც შეეხება მრეწველობის სექტორს, რესპონდენტთა უმრავლესობა – დაახლოებით 60 პროცენტი, მიიჩნევს, რომ აქ ცვლილებები არ იქნება, მხოლოდ 27 პროცენტი ვარაუდობს ზრდას, ხოლო დაახლოებით 12 პროცენტის პროგნოზით, მომავალი წლისათვის მრეწველობის სექტორში აღგილი ექნება კლებას (გრაფიკი N2). აღსანიშნავია, რომ 2006 წლის III კვარტალთან შედარებით, IV კვარტალში სოფლის მეურნეობისა და კავშირგაბმულობის სექტორების მიმართ ეკონომიკური ზრდის მოლოდინი მატულობს.

ბრაფიკი 2
ეკონომიკური ზრდა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში მომავალი ერთი წლის განმავლობაში



როგორც გამოკითხვამ ცხადყო, 2006 წლის IV კვარტალში კომერციული ბანკების მოლოდინი ლარის კურსის მომავალ ცვლილებებთან დაკავშირებით იმავე ტენდენციით ხასიათდება, როგორც წინა პერიოდში. მოკლევადიან პერსპექტივაში გამოკითხულთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ლარის კურსი კიდევ უფრო გამყარდება ან შედარებით სტაბილური იქნება – შესაბამისად, 41.2 და 33.3 პროცენტი. ლარის გაუფასურებას მხოლოდ გამოკითხულთა მცირე ნაწილი ვარაუდობს – 9.8 პროცენტი, ხოლო 15.7პროცენტს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა.

საშუალოვადიან პერსპექტივაში, ექვსი თვის განმავლობაში, კომერციული ბანკების მენეჯერები, ძირითადად, ლარის სტაბილურ კურსს პროგნოზირებენ, რესპონდენტთა დაახლოებით 40 პროცენტი მიიჩნევს, რომ კურსის ცვლილება მოსალოდნელი არ არის. აღსანიშნავია, რომ, თუ მოკლევადიან პერსპექტივაში ლარის გამყარებას 41.2 პროცენტი ვარაუდობდა, საშუალოვადიან პერსპექტივაში აღნიშნულს მხოლოდ 18 პროცენტი ელის.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ერთი წლის შემდეგ ლარის გაცვლის კურსის მოსალოდნელი ცვლილებები ბანკების მენეჯერთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ბუნდოვანია, 38.1 პროცენტს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა, დაახლოებით 40 პროცენტის აზრით კი, ლარის კურსის ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ და კურსი, ძირითადად, სტაბილური იქნება. მენეჯერთა შედარებით მცირე ნაწილი, დაახლოებით 24 პროცენტი, ლარის კურსის კიდევ უფრო გამყარებას ელის, ხოლო დაახლოებით 10 პროცენტი მიიჩნევს, რომ ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ გაუფასურდება.

მთლიანობაში, კომერციული ბანკების შეფასებით, აშშ დოლარის მიმართ ლარის კურსი, ძირითადად, სტაბილური იქნება. აღსანიშნავია, რომ IV კვარტალში ბანკების მოლოდინი წინა პერიოდის ანალოგიურია: მოკლევადიან პერსპექტივაში მათი პროგნოზით ლარი გამყარდება, ხოლო გრძელვადიანი პერიოდისათვის ბანკების მენეჯერებს გაუჭირდათ პროგნოზის გაკეთება (გრაფიკი N3).

ბრაფიკი 3
როგორ შეიცვლება ლარის კურსი



ლარის კურსის მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ კომერციული ბანკების მენეჯერთა მოლოდინის შეფასება შეიძლება ლარითა და აშშ დოლარით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობის საფუძველზე. ამ შემთხვევაში, თუ ინდიკატორად ავიღებთ საანგარიშო პერიოდში გაცემულ სამომხმარებლო სესხებს, დავინახავთ, რომ როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან სესხებზე საპროცენტო განაკვეთი უფრო მაღალია ლარით გაცემულ სესხებზე, ვიდრე აშშ დოლარით გაცემულზე. აქედან, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კომერციული ბანკები ლარის კურსის გაუფასურებას ელიან როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საპროცენტო განაკვეთებს შორის სპრედი უფრო მაღალია გრძელვადიან სესხებზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბანკები კურსის უფრო დიდ ცვლილებებს გრძელვადიან პერსპექტივაში ელიან (გრაფიკი N4).

ბრაფიკი 4
საპროცენტო განაკვეთების სპრედი



ერთი წლის შემდეგ კომერციული ბანკების ინფლაციური მოლოდინი 2006 წლის IV კვარტალში 8.52 პროცენტს შეადგენს. ეს მონაცემი მხოლოდ მცირედით ნაკლებია წინა კვარტალის შესაბამის მაჩვენებელზე (5.54 პროცენტი). რაც შეეხება ორი წლის შემდეგ ინფლაციურ მოლოდინს, აქ წინა კვარტალის მონაცემზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. თუ III კვარტალში კომერციული ბანკები 9.45-პროცენტიან ინფლაციას ვარაუდობდნენ, IV კვარტალში ინფლაციური მოლოდინი 9.59 პროცენტს შეადგენს. წინა პერიოდების მსგავსად, ინფლაციური მოლოდინი ერთი წლის შემდეგ უფრო მაღალი დისპერსიით ხასიათდება, ვიდრე ორი წლის შემდეგ (გრაფიკი N5).

კომერციული ბანკების მენეჯერთა მიერ 2006 წლის IV კვარტალში წარმოებული გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ ბანკები ეკონომიკის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას ერთწლიან პერსპექტივაში ელიან, ხოლო მოკლევადიან პერსპექტივაში ცვლილებებს არ ვარაუდობენ. ზრდა, ძირითადად, მოსალოდნელია მშენებლობის, ვაჭრობის, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის სექტორებში. ბანკების მენეჯერები მომავალი წლის განმავლობაში,

გრაფიკი 5

ფლიშრი ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი



ძირითადად, ლარის სტაბილური კურსის შენარჩუნებას ვარაუდობენ, თუმცა მოკლევადიან პერსპექტივაში უფრო მეტად კურსის გამყარებას ელიან, ხოლო გრძელვადიანი პროგნოზის გაკეთება უჭირთ. წინა პერიოდების მსგავსად, კომერციული ბანკების მხრიდან ინფლაციური მოლოდინი ორი წლის შემდეგ უფრო ძლიერია, ვიდრე ერთი წლის შემდეგ.

„ინფლაციის მიმოხილვა“ გამოსაცემად მომზადდა საქართველოს ეროვნულ ბანკში.

0105, თბილისი, გ. ლეონიძის ქ. N3/5